# საქართველოს რესპუბლიკა

**მთავრობის მოამბე**

ყოველდღიური გაზეთი

№ 75 შაბათი, 26 ოქტომბერი, 1918 წ.


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.



მე II-ე წელ. **ვაჟთა და ქალთა გიმნაზია** მე II-ე წელ.

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.
ჟხენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წელს გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია პირველად.

50—46 გიმნაზიის გამგე **ს. ნ. შულგინი.**


## თანახმად ქალაქის გამგეობის დადგენილებისა

ყოველ-გვარ გასართობებისათვის ქალაქის სასარგებლოთ ხარჯის აკრეფის პროექტის შესაცვლელათ, მყარდება შემდეგი წესი:

1) პატრონნი თეატრებისა, მათ შორის სახელმწიფოსიც, კინემატოგრაფებისა, ცირკებისა და სხვა ამგვარი დაწესებულებათა და აგრეთვე გამმართავნი ყოველნაირი საფასო სამზერელების, კონცერტებისა, გამოფენებისა და სხვა, კაბარესი, რესტორანებისა და კაფე-რესტორანებისა, სადაც ფასის დადებით გაიმართება მუსიკალური ნომრების შესრულებით გასართობები და შესასვლელი ბილეთების ანუ მაგიდებზედ აიღებენ ფასს, გარდა საჭმლის და სასმლის ანგარიშიდან გარდასახადისა, მოვალენი არიან მომსვლელნი შეუშვან მხოლოდ ყდიანი წიგნაკიდან ამოჭრილ ბილეთებით,—ეს წიგნაკები უნდა იყვნენ ზონარგატარებულნი და დაბეჭდილნი მილიციის მმართველობის ლაქის ბეჭდისდასმით.

2) ეს წიგნაკები მსურველთ უნდა შეიძინონ მილიციის სამმართველოდან. ბილეთები იქნება კონტროლის ტალონებით, რომლებიც შესვლისას ამოიხევა.

3) ხსენებულ დაწესებულებათა და გამმართავთ გასართობებისა და სამზერელებისა პატრონთ ეკრძალებათ ბილეთებზე უკვე ნაჩვენებ ფასზედ მეტათ მათი გაყიდვა.

4) პირველ მუხლში ნაჩვენები პირნი მოვალენი არიან დღიდან ამა წესდების გამოცხადებისა, ერთი კვირის განმავლობაში, ქალაქის მილიციის სამმართველოს აცნობონ რამდენი ბილეთები და წიგნაკია მათთვის საჭირო წლის დამლევამდე.

5) ვიდრე შემუშავებულ იქნება ნიმუში მარკებისა, რომლითაც სახელმწიფო და ქალაქის სასარგებლოთ ხარჯის გადასახდელათ უნდა დაეკრას სამზერელის და გასართობის შესავლელ ბილეთებს, უკანასკნელნი გაიყიდებიან უმარკოთ, მხოლოდ ზედ ბილეთებზედ უნდა იყოს დაკრული შტემპელი შემდეგის წარწერით: „სახელმწიფო და ქალაქის ხარჯი გადახდილია“.

6) უმარკობისა გამო, რომ სრულად ფულის ჩაბარება უზრუნველჰყოს მის მიმღებისაგან, ბილეთების წიგნაკებს მილიციის მმართველობა აძლევს: ა) ჯველა მუდმივ დაწესებულებებს, კლუბებს, თეატრებს და სხვა ამგვარ დაწყობილებებს, რომლებიც მოქმედობენ დამტკიცებული წესდებით, ანუ წარმოადგენენ ქონების დასამტკიცებელ საბუთს (მაგ., თვით შენობა და სხვა) ადგილობრივი ადმინისტრაციის თანათავდებობით. ბ) სხვა შემთხვევაში, როცა პასუხისმგებელი იქნება კერძო პირი ანუ ჯგუფი, რომლებიც არ შეეთახმებიან ამა მუხლის ამ ნაწილის პირობებს, უხათუოთ უნდა წარედგინოს საწინდირი იმდენი, რამდენიც არის წიგნაკიდან მისაღები გარდასახადი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დაწესებულება მოვალეა მილიციის სამმართველოს მიაწოდოს წერილობითი ცნობა: 1) ვის აქვს დავალებული მიიღოს წიგნაკი და 2) რით უზრუნველჰყოფენ გადასახადის შეტანას.

7) ამ წესდების 1 მუხლში მოყვანილი გამრთობი დაწესებულებანი, უკეთუ შეუშვებენ მიმსვლელთ უბილეთოთ ანუ ბილეთებზედ ნაჩვენებ ფას დაკლებით, გადახდებათ დაკლებული ფული ერთი-ორათ.

8) დაბრუნება ბილეთების წიგნაკების ყდებისა და ფულის გადახდის კვიტანციებისა უნდა ხდებოდეს შემდეგის წესით: ა) მუდმივ გამმართავნი მათი გათავების უმალ, ბ) თვითეული გამმართავნი სამზერელისა და ყრილობებისა გამართვის მეორე დღის.

9) დამნაშავენი სავალდებულო დადგენილების წესდების დარღვევაში ეძლევიან პასუხის გებაში 29 მუხ. მომრიგ. მოსამართლის სასჯელის წესდების ძალით, იმ რედაქციით, რომელიც მიღებულია 17 მარტს 1917 წ. დროებითი წესით.

10) ეს სავალდებულო დადგენილება დღიდან გამოქვეყნებისა შედის ძალაში.

765 1—1


## კაფე „ერთობა“

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგრძობარი
ამაზე იაფ ჯანსაღ საუზმეს
ვერსად ვერ ჰპოვებთ [illegible]
ორ თავს ადილზე, თბილის შუაში,
თქვენ „[illegible]“ [illegible] მანქანის მისცემთ.
და მადლიერი [illegible] კერძით
კაფე [illegible] შეხვდებით.
ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ შეხვდება?
სადაც კი გინდათ [illegible]
კაფე „ერთობის“ [illegible].



[illegible]

5 000 000 მანეთი

## ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ.

პირველი მოგება 100000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც გამოცხადებულია.



## ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი [illegible] დისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, [illegible] აპკისა, გულისა და ჯირკვლების.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და [illegible] ლარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ [illegible] კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.



ექიმი

## ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი—ავადმყოფებს ვენერიულ, კანთა, სიფილისით (ათაშანგი) და სქესობრივ უძლურებით ავადმყოფებს დილის 8—11 და საღამოს 4—7 საათამდე.
მისამართი: ვარანცოვის ძეგლთან რაზნიჩნაია ქუჩა, სახლი № 19.


## ოფიციალური განყოფილება

### განკარგულებანი

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის.

25 ივლისი, 1918 წ.

№ 102.

მ ი ღ ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ფ.-ტ. მოხელეები: VI ხარისხის ბალახანის ფ.-ტ. კანტორისა იოაკიმე ორლიჩენკო და დროებით აღმასრულებელი მე V ხარისხის ფ.-ტ მოხელის მოვალეობისა შტატს გარეშე დაქირავებული ტფილისის ფ.-ტ. კანტორისა ივანე ცხვედარიძე, რომელნიც იყვნენ გამორიცხულნი მოხელეების სიიდგან სამხედრო სამსახურში შილების გამო, წინანდელ ადგილებზედ: პირველი ბილისთავის ფ.-ტ. განყოფილებაში, მეორე ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ორლიჩენკო 25 ივლისიდგან, ხოლო ცხვედარიძე 29 ივლისიდგან.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ა: დროებით დაქირავებული მოხელე ბათუმის კანტორის [illegible]

[illegible] მოწმობის სახელმწიფო [illegible] III ტ. [illegible] ნება [illegible] 1915 წ. [illegible]

[illegible] 5 [illegible] კირილე IV კანტორისა [illegible] ტფილისის [illegible] სამხედრო სამსახურში [illegible] 21-დგან [illegible] 25-დგან [illegible] პირველ აგვისტოდგან.

[illegible] ტფილისის [illegible] 200 [illegible] 14 [illegible] 29 [illegible] 22 [illegible] 30 [illegible]

№ 81 ტელეგრაფის ზედამხედველი [illegible] ნიკოლოზ [illegible] 18 [illegible]

26 ივლისი, 1918 წ.

№ 103.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ფ.-ტ. მოხელე VI ხარ. ტფილისის პირველ განყოფილებისა ვლადისლავ ოლშევსკი, იმავე განყოფილებისა მეხუთე ხარისხის მოხელედ; ტელეგრაფის მოხელის უმცროს მექანიკის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი ირაკლი იანქოშვილი ამავე ქსელის უმცროსს მექანიკოსად. ფ.-ტ. მოხელე IV ხარ. სავლე ფოსტის № 183 კანტორისა ნიტიპო (ნიკიფორე) ბარამიძე ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ტელეგრაფის ზედამხედველად.

მეექვსე ხარისხის მოხელე სიღნაღის კანტორისა სიმონ კიკოლაშვილი იმავე კანტორის მეხუთე ხარისხის მოხელედ, ამათ შორის ოლშევსკი 14 ივლისიდგან 1917 წ., კიკოლაშვილი 1 ღვინობისთვიდგან 1917 წ. და ბარამიძე 15 ივნისიდგან, ხოლო იანქოშვილი 16 ივლისიდგან 1918 წ.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: ტელეგრაფის ზედამხედველი ბაშნოროშენის კანტორისა დროებით დაქირავებული გენრიხ იუნგი და ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოზ ყარაშვილი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფ.-ტ. კანტორისა ახალ-სენაკისა IV ხარისხისა აკაკი ქუთათელაძე, სოხუმის კანტორის III ხარ. ბეგლარ მუშვუდიანი, ბორჯომის მე 5 ხარ. ნინო მეფისოვისა, ბაქოს კანტორის I ხარ. პეტრე ჩერენკოვი და ფოსტალიონები განჯის კანტორისა: სარქის სარვაზიანცი, გრიგოლ კეტაკჩიანცი, ნერსეს კეტაკჩიანცი და სარქის ავადაცნოვი—იმავე წოდებით ყარაევი ტფილისის ტელ. ქსელში, ჩერენცოვი ტფილისის ფოსტის კანტორაში, ქუთათელაძე ხონის, მუშკუდიანი ხაშურისა, სარვაზიანცი, კეტანრიანცი ნერსეს, კეტანრიანცი და ავადაცნოვი ერევნის კანტორაში, იუნვი ეკატერინოვკაში, მეფისოვი ბაკურიანში, ამათ შორის მუშკუდიანი, ჩერენკოვი სარაკანიანცი, გრ. კეტანიანც, ნერსეს კეტანიანცი და ავადაცნოვი პირველ ივლისიდგან, ქუთათელაძე და მეფისოვი 16 ივლისიდგან, ყარაევი 20 ივლისიდგან და იუნგი 25 ივლისიდგან, იუნგი სამსახურის საკეთილოდ, გოლო დანარჩენი ათნი თავისივე თხოვნის თანახმად.

დამტკიცებულ იქმნა: ტფილისის კანტორის მე IV ხარ. მოხელე ევტიხი ჰანტურია თავის თანამდებობაზე, ამა წლის 1 ივლისიდგან.

27 ივლისი, 1918 წ.

№ 104.

დანიშნულ იქმნენ: პოდპორუჩიკი 4 კავკ. საპიორის ბატალიონის, ვასილ ფედულოვი ტფილისის ტელეფონის ქსელის, უმცროს ტელ. ზედამხედველად დრ. ალმ. VI ხარ. მოხელე ტფილისის კანტორისა რებეკა ტრახტენრუდ მეექვსე ხარისხის მოხელედ იმავე კანტორისა; დრ. ალმ. V ხარ. მოხელისა ტფილისის პირველ განყოფილებისა ვლადისლავ ალშევსკი, მეოთხე ხარისხის მოხელედ იმავე განყოფილებისა; ოლშევსკი პირველ აპრილიდგან 1917 წ., ფედულოვი მეორე ივლისიდგან და ტრახტენრუდი 25 ივლისიდგან, ამასთან ტრახტენრუდი და ფედულოვი შტატს გარეშე.

გადაყვანილ იქმნენ: მლეთის ფ.-ტ. განყოფილების უფროსი არტემ თოდუა, ფ.-ტ. მოხელეები ფ.-ტ. კანტორებისა ბათუმის მეორე ხარისხის, ილარიონ თხილაშვილი, პირველი ხარისხისა ალექსანდრე ავზეცოვი, მესამე ხარისხისა ივანე ლეონტიევი. განჯის კანტორისა შტატს გარეშე VI ხარ. ოლღა სკომოროვსკისა, ფოსტალიონები ბათუმის კანტორის ლეონტი ჩიტანავა და ანნა ველიკოტინა (ველიკოდნაიასი), პელაგია ნედოვოდევისა, ნადეჟდი ლუტაი, ქ. ლუტაევისა, ქ. ალექსანდრა დემჩენკო, ანნა ბროსლავეცი, ხილოდნოსლობოდცკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების, გიორგი რეკვავა-იმავე წოდებით თოდუა ჩოხატაურში სკიმაროვისა ტფილისის ტელ. კანტორაში, თხილაშვილი ოზურგეთში, ავზეცოვი გორში, ჩითანავა ფოთში, ლეონტიევი, გუშჩინი, ველიკოტინა-დემჩენკო, ნედოვოდიევი, ლუტაი, ბროსლავეც და რეკვავა ლანჩხუთის კანტორაში, სკამაროვსკისა პირველ აპრილიდგან თოდუა 16 ივლისიდგან და დანარჩენნი თერთმეტნი 1 ივლისიდგან. თოდუა თხილაშვილი, ავზეცოვი სკომაროვსკისა და ჩიტაიშვილი თავისივე თხოვნის, თანახმად ლეონტიევი, გუშჩინი, ველიკოტინა, დემჩენკო ნედოვოდიევისა, ლუტაი, ბროსლავეც, რეკვავა დაწესებულების გაუქმების გამო, მხოლოდ სკომაროვსკაია, ველიკოტინა, დემჩენკო ნედოვოდიევა, ლუტაი და ბროსლავეცი შტატს გარეშე.

დამტკიცებულ იქმნა: მეორე ხარისხის შტატს გარეშე დაქირავებული მოხელე ბათუმის კანტორისა პეტრე ცეცხო სახელმწიფო სამსახურში და ნამსახურების ჩათვლით 1917 წ. პირველ თებერვლიდგან.

1 აგვისტო, 1918 წ.

№ 105.

დანიშნულ იქმნენ: ტელ. ზედამხედველი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა დროებით დანიშნულ უმცროს მეხანიკოსს თანამდებობის ასასრულებლად ალექსანდრე სეხნიაშვილი, ტელეგრაფის ზედამხედველი ფოთის კანტორისა დროებით დანიშნული მესამე ხარისხის მოხელის მოვალეობის ასასრულებლად ნესტორ ლებსაძე, სადგურის უმცროსს მექანიკოსებად იმავე კანტორებში. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებისა ქუთაისისა VI ხარ. ბესარიონ მინდელი, მანგლისის V ხარ. იასონ მჟავანაძე და ტფილისის პირველ განყოფილებისა V ხარ. დღიურად ნაქირავები ვლადისლავ ოლშევსკი ფოსტა-ტელეგრაფიის მოხელეებად იმავე კანტორებში: მინდელი მეხუთე ხარ. მჟავანაძე მეოთხე და ოლშევსკი მესამე ხარისხით—მჟავანაძე და ოლშევსკი პირველ ოქტომბრიდგან, მინდელი პირველ აგვისტოდან.

გადაყვანილ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა, სამტრედიის მეხუთე ხარისხ. მიხეილ ჩხიკვიშვილი, ოჩემჩირის მეხუთე ხარისხ. ლეონტი კაკავა, ბათუმის მეხუთე ხარ. ნაქირავები მელანია გამსახურდია, განჯის სამოქალაქო მეოთხე ხარ. სედრაკ არაქელოვი, ახალციხის მეორე ხარისხის გიორგი ბერაძე, ტფილისის ტელეფონის ქსელის VI ხარისხის ნაქირავები დეანზაგირ მანველიანცი, დროებით აღმასრულებელი ტელ. ზედამხედველის მოვალეობისა. მოსე ებანოიძე, ფოსტალიონი სიღნაღის ფოსტ. კანტორისა ბიაშიტ საბრია-მერჯან ოღლი (იგივე საბრი ოღლი) იმავე წოდებით თავისის თხოვნის თანახმად. ჩხიკვიშვილი ოზურგეთში, გამსახურდია ბორჯომში, არაქელოვი და მანველიანცი ერევანში, ბერიძე ხაშურში, მერჯან-ოღლი განჯის ფ.-ტ. კანტორაში, კაკავა გალში, ებანოიძე ხარაგოულში; ბერიძე, მანველიანცი და ებანოიძე პირველ ივლისიდგან, ჩხიკვიშვილი, კაკავა, გამსახურდია, არაქელოვი და მერჯან-ოღლი პირველ აგვისტოდგან, ამასთან გამსახურდია, მანველიანცი და ებანოიძე ნაქირავებად, მხოლოდ კაკავა დროებით მოვალეობის აღმსრულებლად.

დანიშნულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი ტფილისის კანტორის V ხარ. ალექსანდრე ტაბატაძე და ხაშურის კანტორის VI ხარ. მიტროფანე ჯინჭველეიშვილი დროებით აღმასრულებლად ტელეგრაფის ზედამხედველობის თანამდებობაზედ იმავე კანტორებში, ხოლო ამასთან მე-Ш ტ. 560 მუხ. ძალით ეს უკანასკნელნი დაკმაყოფილებულ უნდა იქმნენ ჯამაგირით ტაბატაძე ამა წლის პირველ აგვისტოდან, ჯინჭველეიშვილი 25 ივლისიდგან.

გადარიცხულ იქმნა: უფროსი მექანიკოსი განჯის რაიონისა ნიკოლაი ანიკინი თავისი თხოვნის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ფ.-ტ. ოლქში იმავე წოდებით ამ წლის პირველ ივლისიდგან.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ფ.-ტ. მოხელე მეხუთე ხარისხისა მარია მესუკოვა თავისის თხოვნის თანახმად პირველ აგვისტოდა.

27 სექტემბერი, 1918 წ.

№ 134.

გადაყვანილ იქმნენ: სტანციის უმცროსი მექანიკოსი ბათუმის ტელეფონის ქსელისა, დროებით დანიშნული 1 ხარ. ფოსტა-ტელეგრაფის თანამდებობის აღმასრულებლად ივანე სტუპინი, ზიუდ-ოსტოვ-კულტუკსკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის VI კლ. ამბროსი ჩაჩხიანი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისა არდანუჩისა VI ხარ. ნიკოლოზ ნათაძე, ფოთისა VI ხარ. სიმონ კედია (იგივე კეიდია), ჯებრაილის—VI ხარ. ვასილ ბერულავა, ყვირილის, IV ხარ. მირონ მაჭავარიანი, დუშეთის V ხარ. ალექსანდრე ფარესოვი, ტფილისის, ტელეფონის ქსელის VI ხარ. ჯავაირ (იგივე ვარვარა) მანველიანცისა და ფოსტალიონები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისა: ალსტაფისა—სოლომონ კანდელაკი, შახტატისა—ესტატე კუხალაშვილი და ბათუმის—გიორგი ნათიშვილი; ტფილისის ფოსტის კანტორის სევერიანე მეფარიშვილი, და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების: ყაზახ-ჩეხჩახის—კონდრატი შენგელია და უჯარის—ავქსენტი ბოხუა იმავე თანამდებობაზედ სტუპინი, ბერულავა -ფოთისაში, ჩაჩხიანი—დედოფლის-წყაროში, ნათაძე—ალავერდში, მანველიანცისა—ერევანში, მეფარიშვილი—მცხეთაში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში კედია—ნოვოსტრელიცკში, ნათიშვილი ტფილისის 1 სამოქალაქო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ფარესოვი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა, მაჭავარიანი, კანდელაკი, კუხალაშვილი, შენგელია და ბოხუა ტფილისის ფოსტის კანტორაში; სტუპინი 21 ივლისიდან, ფარესოვი, მანველიანცისა და ნათიშვილი 1 აგვისტოდან, მაჭავარიანი 20 აგვისტოდან და ბერულავა 2 აგვისტოდან, კანდელაკი, კუხალაშვილი, შენგელია და ბოხუა 1 სექტემბრიდან, ნათაძე, კედია და მეფარიშვილი 16 სექტემბრიდან, ჩაჩხიანი 21 სექტემბრიდან, ამასთან სტუპინი, ჩაჩხიანი, მაჭავარიანი, ფარესოვი, მანველიანცი და ნათიშვილი თავიანთის თხოვნის თანახმად, სტუპინი 1 ხარ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად.

დათხოვნილნი იქმნენ: ტფილისის ტელეფონის ქსელის ზედამხედველი—ანდრია მოისეევი, დროებით დანიშნული III ხარ. მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად, ფასანაურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველი გიორგი რუბლევიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ჯულფის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის VI ხარ. იპოლიტე გობრონიძე, ტფილისის ტელეფონის ქსელის V ხარ. მარია გრიდნევა—VI ხარ. ეკატერინა პუჩინინა და V ხარ. ნადეჟ და გლადიშევა, ბათუმის ტელეფონის ქსელისა III ხარ. ანნა ევსტრატოვისა და ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა სიმონ იორდანოვი (იგივე იორდანაშვილი), ახალ-სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ანნა ჰანტურია, უკანასკნელი 4 აგვისტოდან, პუჩინინა 5 სექტემბრიდან, გრიდნევა და გლადიშევი 11 სექტემბრ. მოისეევი, გობრონიძე და იორდანოვი 16 სექტემბრიდან, რუბლევიჩი 21 სექტემბრ., ევსტრატოვი 28 სექტემბრიდან ამა წლისა; მასთან გლადიშევი, მოისეევი, ევსტრატოვი და პუჩინინი თხოვნისამებრ, რუბლევიჩი კი საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებებში შტატების შემცირების გამო 21 სექტემბრიდან ამა წლისა.

სიიდან ამოშლილ იქმნენ: წესის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი ვლადიმერ ბესელია ჯარში ჩარიცხვის გამო ამა წლის 7 აგვისტოდგან.

გადარიცხულ იქმნენ: ბალვინის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი გრიგოლ სკომოროხოვი, და ფოსტა-ტელიგრაფის მოხელე III ხარ. იგივე განყოფილებისა ხარიტონ პავლოვი (იგივე ვასილიადი), რადგანაც გამოიყო საქართველოს რესპუბლიკა ცალკე და თერგის ოლქის ყველა დაწესებულება გადავიდა ვლადიკავკავის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის განკარგულებაში—უკანასკნელი ოლქის უფროსის განკარგულებაში; ორივე ამა წლის 26 მაისიდან.

ოლქის უფროსი მგელაძე.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 26 ოქტომბერი.

საკითხი, რომელიც პრესაში და განსაკუთრებით კი ქუჩაში დიდ და ცხარე მითქმა-მოთქმას იწვევდა, ათასგვარ გაზვიადებულ ხმებს ქმნიდა და ვნებებს აღიზიანებდა,—დღეს უფრო ფართოდ და ნამდვილი სახით სააშკარაოზე გამოვიდა და საქართველოს მთავრობის ოფიციალური ცნობით სინამდვილეს ფარდა აეხადა. რამ გამოიწვია ბორჩალოს ინციდენტი და რათ მივიდა საქმე თითქმის კონფლიქტამდე? რომელი პოლიტიკაა აქ რომ ავანტიურას იწყებს და გიჟური ნაბიჯებით ისწრაფვის ორი მეზობელი ერთმანეთს გადაჰკიდოს და ომის საშინელების ქარცეცხლში ორივე დაღუპოს? ბუნებრივათ ისმება ეს საკითხი და პასუხსაც ვღებულობთ.

დღევანდელ საამიერ-კავკასიო მდგომარეობაში, როდესაც იმპერიალისტური სახელმწიფონი თავის ბრჭყალებიან ხელს ყოველიმხრიდან უწვდიან და სურთ ამიერ-კავკასია საჯიჯგნ ბალკანეთად გახადონ,—ბორჩალოს მაზრის ინციდენტი მშვენიერი საბაბია მათთვის, რომ აღიარონ ამიერ-კავკასიის ერთა სახელმწიფოებრივი უნიჭობა და ერთმანეთთან ცხოვრების შეუგუებლობა, თუ მათზე რომელიმე სახელმწიფოს მფარველი ხელი არ არის დადებული. ჰეგემონიის საკითხი აქ მწვავეთ სდგას და თვითეული სახელმწიფო მზათაა თავის კლანჭებში გამოხუთოს დამოუკიდებელი მხარე. ამ მხრივ ბორჩალოს ინციდენტს და დაშნაკელების ავანტიურას მეტათ დამღუპველი გავლენა აქვს რესპუბლიკების დამოუკიდებლობაზე და განმტკიცებაზე.

დაშნაკელები წამოეგენ იმპერიალისტთა მათამაშებელ პოლიტიკას და ზურგს უკან, ოსმალეთთან შეთანხმებით სცდილობენ სასაზღვრო საკითხი გადაჰრან და ამ შემთხვევაში კონფლიქტსაც არ დაერიდენ. სომხეთის წარმომადგენლის ბატ. ჯამალიანის განცხადება ამას ცხადყოფს და აძლიერებს იმ დამღუპველ და დამაქცევარ ავანტიურას, რომელსაც დაშნაკელებმა ხელი მოკიდეს. ჩვენთან სადავო საკითხების გადაჰრა ოსმალეთთან შეთანხმებით და ჩვენდა დაუკითხავათ, —ეს არამც თუ სოციალისტობა, არამედ დემოკრატობის ნატამალიც არ არის და ეს იმ დროს, როდესაც დაშნაკელები ხმამაღლა გაიძახიან „სოციალისტობზე“ „დემოკრატობაზე“ და ერთა სოლიდარობაზე!

ბორჩალოს ტერიტორიის შესახებ ოსმალეთთან შეთანხმებული სომხეთის პოლიტიკა პირდაპირ შემოიჭრა თავისი ჯარით ჩვენს ტერიტორიაზე და ამგვარათ ფაქტიური ომის ატმოსფერა შეიქნა. საქართველოც, რომ ავანტიურისტული პოლიტიკით ყოფილიყო გატაცებული, უეჭველია, რომ დღეს ზარბაზნების ჰექა-ქუხილი და სისხლის ღვრა იქნებოდა,—ჩაებმებოდა საშინელებაში, რომლის გამანადგურებელი და გამაპარტახებელი შედეგი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. მაგრამ დემოკრატიული პოლიტიკის მწარმოებელი საქართველო ავანტიურას არ აჰყვა და მშვიდობიანი გზით საკითხის გადაწყვეტას შეეცადა.

სომეხთა მთავრობის 23 ოქტომბრის ნოტა დი ჩვენი სამხედრო მინისტრის პასუხი ნათელყოფს ამ ცდას. ჩვენი მთავრობის ბრძანებით ჩვენი ჯარი საზღვრების საკითხის გადაჰრამდე თავის ადგილზე უნდა ყოფილიყო და სამხედრო მოქმედება არ დაეწყო. ესაა უდიდესი სურვილი, რომ ინციდენტი სრულ კონფლიქტამდე არ მისულიყო და თოფის წამლის კვამლში ქვეყანა არ გახვეულიყო. ესაა დიდი მშვიდობიანი ზომა შეთანხმების სურვილის გამომხატველი ნაბიჯი და ვერც ერთი პირწავარდნილი მტერი ჩვენი ვერ იტყვის, რომ ჩვენ სადავო საკითხის გადაჰრა შეთანხმებით არ გვსურდეს. მაგრამ სავალალო და სამწუხაროა, რომ ავანტიურის გზაზე შემდგარნი იქიდან ჩამოსვლას აღარ აპირობენ და მზაკვრული აზიური მოქმედებით ბრძოლას განაგრძობენ.

ჩვენი მთავრობის პასუხის შემდეგ, რომ საკითხი მოლაპარაკებით გადაიჭრას და მანამდე ჩვენი ჯარი წინ ფეხსაც არ გადადგამს, იმავ საღამოს სომხის ჯარმა ქარინჯის დაცლა მოითხოვა და ქარინჯ-წათერის ხაზი დაიკავა. აშკარაა, სომხეთის ავანტიურისტული პოლიტიკა არ დაკმაყოფილდა ჩვენი მშვიდობიანობის გამომთქმელ პასუხით და კვლავ შეეცადა იარაღით საკითხის გადაჰრას. მშვიდობიანობის დამყარების ჩვენ სურვილს, მათ თავისი ჯარის წინსვლით უპასუხეს. ჩვენ ზეთის ხილის შტოს იარაღი შეაგებეს. უარყვეს მოლაპარაკებისა და საკითხის შეთანხმებით გადაწყვეტის გზა. განაგრძეს დაწყებული ავანტიურა. რა უნდა ექნა ჩვენს მთავრობას? უნდა შერიგებოდ სომხეთის ავანტიურას და მის მოქმედებას, უნდა უკან დაეხია და დაეთმო ყველაფერი.—თუ პირდაპირ აქტიურ ბრძოლაზე გადასულიყო და ბრძოლის ცეცხლი გაეხსნა? მშვიდობიანობის მოსურნე ჩვენმა მთავრობამ საშუალო ხაზი აირჩია და თუმცა სრული უფლება ჰქონდა პირდაპირ ბრძოლაზე გადასულიყო, ეს არ მოიქმედა და წინასწარ კვლავ მოსთხოვა მათ მიერ ძალით დაჭერილი ადგილების დაცლა.

სომხეთმა უნდა დასცალოს ადგილები ქერინჯ-წათერნ- მდინარე კამენკას ხაზიანათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა მის მოქმედებას სამხედრო მოქმედების დაწყებათ სთვლის.

ჩვენ მზათ ვიყავით და მზათა ვართ ყოველგვარი სადავო საკითხი მშვიდობიანი გზით გადავჭრათ. ეს ურყევი ჩვენი სურვილია.

სომხეთის მთავრობა დაუფიქრდეს, თუ რას ჩადის, საით მიაქანებს სომხეთს მისი პოლიტიკა, თუ რა საშინელ დაღუპვას უქადის იგი თავის ხალხს და უკანასკნელათ გადასწყვიტოს საკითხი.

ვიმეორებთ და მრავალჯერ კიდევ გავიმეორებთ, რომ საერთოდ და განსაკუთრებით დღეს მეზობელ სახელმწიფოთა დავის გადაწყვეტა იარაღის შეწევნით მათთვის გამანადგურებელ—დამღუპველია,—და დიდ სახელმწიფოთა საჯიჯგნ მასალათ გადამქცევია.

ავანტიურას არასოდეს კეთილი ნაყოფი არ მოუტანია და არ მოიტანს დღესაც.

მეტი გონიერება და მიზანშეწონილება მშვიდობიანობის პოლიტიკის ასპარეზისათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ პროფესორმა ცუგმაიერმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს შემდეგი პოლიტიკური ცნობები გადმოსცა.

### ბრძანება გერმანიის ჯარის ერთი ნაწილის საქართველოდან გაყვანის შესახებ.

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა ფონ-კრესმა, ბერლინიდან 2 ბრძანება მიიღო: ერთი ბრძანება საგარეო მინისტრისა და მეორე გენერალ ლიუდენდორფისაგან. თანახმად ამ ბრძანებათა ნახევარი ნაწილი გერმანიის ჯარისა, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე უნდა წავიდეს ამ უკანასკნელ სახელმწიფოდან. რაც შეეხება გერმანიის ჯარის მეორე ნახევარს, ამის შესახებ ჯერ არავითარი განსაკუთრებული ბრძანება არ არის. არაფერია აგრეთვე ნათქვამი იმ მიზეზთა შესახებ, რომელმაც გამოიწვია ეს ბრძანება.

### საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა.

გენერალ-მაიორმა უკვე გაგზავნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შუამდგომლობა ბერლინში. ამ შუამდგომლობაში საქართველოს მთავრობა სთხოვს გერმანიის უმაღლეს მთავრობას, რათა დატოვებულ იქნას გერმანიის ჯარი სავსებით საქართველოში· ამ შუამდგომლობის პასუხს ორი-სამი დღის განმავლობაში უნდა მოველოდეთ. სწორედ ეს დრო იქნება საჭირო, რომ ჯარი მოემზადოს წასასვლელად და ამიტომ ეს პასუხი წასასვლელად გამზადებულ ჯარს ჯერ კიდევ ტფილისში მოუსწრებს.

### გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლობის დარჩენა.

ყოველ შემთხვევაში დიპლომატიური წარმომადგენლობა გერმანიისა დარჩება საქართველოში იმავე რიცხვით, როგორც დღემდე. მასთანვე, რასაკვირველია, დარჩება მცირედი რიცხვი მცველებისა გერმანიის ჯარის კაცებისაგან.

### გერმანიის ჯარის წასვლის მიზეზი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ბრძანებაში სრულიად არაფერი არ არის ნათქვამი საქართველოდან გერმანიის ჯარის წასვლის მიზეზების შესახებ. ჩვენი კერძო შეხედულებით, ეს, შეიძლება, არის გერმანიის მხრით პოლიტიკური ნაბიჯი, რომელსაც აქვს კავშირი სამშვიდობო მოლაპარაკებას და საზოგადოდ ვილსონის წინადადებასთან, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ საქართველო, როგორც მთელმა ქვეყანამ იცის, გერმანიას სრულიადაც არ აუღია ძალით, არამედ ის მოვიდა აქ თვით საქართველოს მთავრობის თხოვნით. შეიძლება ინგლისელებს აშინებს საქართველოში გერმანიის ჯარის დარჩენა. შეიძლება აგრეთვე ისიც, რომ გერმანიის მთავრობა იღებს წინასწარ ზომებს ყოველ შემთხვევისათვის, რომ აქ მყოფი ჯარი არ იქნეს გერმანიაში წასასვლელად გზა მოჭრილი ბალკანეთის და შავი ზღვის მხრით.

### გერმანიის ჯარი დონსა და უკრაინაში.

ხმები იმის შესახებ, ვითომც გერმანიის ჯარი უკვე მიდის უკრაინა და დონიდან, სიმართლეს არ შეიცავს. დღემდე გერმანიის ჯარი იქ არის და არც რაიმე ბრძანება ან გადაწყვეტილება არსებობს ჯერ-ჯერობით წაინც, რომ უკრაინა და დონი დატოვებულ იქნას ჩვენი ჯარის მიერ.

### ბავარია და ახალი კონსტიტუცია.

ბავარიაში არავითარი არეულობა ან რევოლიუციონური მოძრაობა არ არის. მინისტრმა დანდერმა ამას წინეთ განაცხადა, რომ ბავარიაში უნდა იქნეს შემუშავებული ახალი კონსტიტუცია, რომლის ძალით ხალხის წარმომადგენლობას ექნება უფრო მეტი უფლება მართვა-გამგეობაში მონაწილეობისა, ვიდრე ეს დღემდე ჰქონდა მას.

### ავსტრო-უნგრეთის ფედერატიული შტატები.

ხმები, ვითომც ავსტრო-უნგრეთი იმპერატორ კარლის ბრძანების თანახმათ ფედერატიული შტატებათ არის გარდაქმნილი, ყალბია. ავსტრიაში მხოლოდ მუშავდება კონსტიტუცია, რომლის ძალით ავსტრო-უნგრეთის კერძო ნაწილებს უნდა მიენიჭოს უფრო ფართო თვითმართველობის უფლება, ვიდრე მათ ჰქონდათ აქამდე.

### ოსმალეთი და სეპარატიული ზავი.

ოსმალეთს უნდა სეპარატიული ზავი შეკრას და უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას ამის შესახებ. შედეგი ამ მოლაპარაკებისა ჯერ ჩვენ არ ვიცით. რადიო-ტელეგრამის მუშაობა ტფილისსა და სტამბულის შორის სულ ამ უკანასკნელ ჟამამდე არ შეწყვეტილა.

### ვარნა და ბურგასი დასტოვეს გერმანელებმა.

ვარნა და ბურგასი დასტოვეს გერმანელებმა. ალბათ ეს ქალაქები უკვე დაიკავა ინგლის-საფრანგეთის ჯარმა. ამ მხრით შავს ზღვას და ამიერ კავკასიას საფრთხე არ მოელის, რადგანაც ფლოტილიის გადმოყვანა ხმელთა-შუა ზღვიდან შავ ზღვაში ხმელეთით შეუძლებელია, წყალქვეშა მავალ ნავებისა კი მეტათ ძნელი. ყოველ შემთხვევაში შავი ზღვის ფლოტი გერმანიის ხელშია.

### გერმანია—სტამბულს შორის ხმელეთით გზა მოჭრილია.

ეხლა რადგანაც გერმანიიდან და ავსტრო-უნგრეთიდან ბალკანეთის ნახევარ კუნძულით, გზა გადაჭრილია ხმელეთით, მისვლა-მოსვლა ამ სახელმწიფოების შორის მხოლოდ ზღვით შეიძლელება.

### დასავლეთი ფრონტი

მას შემდეგ რაც გერმანიის ჯარის უკან დახევით დასავლეთის ფრონტი შესამჩნევად შემოკლდა, ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა. გერმანიის ჯარი დღეს, როგორც სჩანს, უკან აღარ იხევს. ინგლისის სამხედრო ცნობიდან სჩანს, რომ გერმანიის ჯარი სწორედ ამ ჟამად ერთ ალაგას სდგას, მხოლოდ ინგლისელები იმედოვნებენ, რომ გერმანია მარტო დროებით შეჩერდა ერთ ადგილზე და მალე ისევ დაიწყებს უკან დახევასო.

### ქართველ-სომეხთა ინციდენტი ბორჩალოს მაზრაში.

ქართველ-სომეხთა ინცინდენტი ბორჩალოს მაზრაში, ჩვენი ფიქრით, მშვიდობიანათ გათავდება. ტფილისის ზოგიერთ გაზეთში ყალბი აზრი იყო გატარებული გერმანიის როლის შესახებ იმ ინცინდენტში, სახელდობ იმას ამბობდენ, რომ, ვითომც თუ კი ინცინდენტი მშვიდობიანი გზით არ გათავდებოდა, იმ შემთხვევაში გერმანიის ჯარი უსათუოდ მიიღებდა მონაწილეობას სომხების წინააღმდეგო. ეს ასე არ არის. მე მხოლოდ ვსთქვი, რომ ჩვენ, გერმანელები, ვალდებული ვართ ხელშეკრულების ძალით დავიცვათ საქართველოს საზღვრები, თუ კი ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საჭიროდ დაინახავს ჩვენ მონაწილეობას-თქო. ამ ქართველ-სომეხთა ინციდენტის დროს საქართველოს მთავრობას ჩვენთვის სრულიათაც არ მოუმართავს თხოვნით, რათა ჩვენი ჯარი მათ ჯარს დახმარებოდეს. ამიტომ ჩვენ არც გვქონია განძრახვა სამხედრო ძალით გამოვსულიყავით სომხების წინააღმდეგ, პირიქით 12 ჩვენი ჯარის კაცი, რომელნიც იყვნენ საზღვარზე, უკან გამოვიწვიეთ და ნოვხსენით. საერთოდ წინა ბაასის დროს მე მოგახსენეთ, რომ გერმანიის ჯარი ეცდება რამდენათაც კი ეს შეიძლება, არ ჩაერიოს ხოლმე ამისთანა ინციდენტებში.

# საუბარი მამედ იუსუფ ჯაფაროვთან

გუშინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან ჰქონდა საუბარი ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს მთავრობის წინაშე, მამედ იუსუფ ჯაფაროვს შემდეგ საკითხთა შესახებ.

### ნავთის საკითხი.

ნავთის საკითხის მოწესრიგების შესახებ ადერბეიჯანის და საქართველოს შორის,—მე ჯერ ჩემი მთავრობისაგან ოფიციალური ცნობა არ მიმიღია, მაგრამ კერძო წყაროებიდან გავიგე, რომ მოლაპარაკება საქართველოს წარმომადგენელს და ჩემ მთავრობას შორის დასრულდა და ნავთის შესახებ ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია. თანახმად ამ ხელშეკრულებისა ყოველდღე საქართველოსათვის ამ პირველ ხანშივე უნდა გამოგზავნოს ერთი მატარებელი ნავთი ესე იგი 21 ცისტერნი. ოსმალეთისათვის კი აგრეთვე ყოველდღე ერთი მატარებელი 24 ცისტერნიანი. რასაკვირველია, ეს რიცხვი სრულიადაც არ არის საკმარისი არც ოსმალეთისა და არც საქართველოს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ უთვალავ ტეხნიკურ დაბრკოლებებს, რომელიც წინ ეღობება ბაქოდან აქ ნავთის მოტანის საქმეს,—ჯერ ერთი ის, რომ ნავთის მილები გაფუჭებულია და ამიტომ საჭიროა დრო მის გასაკეთებლად; მეორე დამაბრკოლებელი გარემოება—ცისტერნების უქონლობაა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე ამიერ-კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის კომისარი ვიყავი, ჩვენ გვაკლდა ცისტერნები. ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ რამენაირად ამ მხრით მოწესრიგებულიყო საქმე, რადგანაც ფრონტისათვის სხვა გზით ნავთის მიწვდება შეუძლებელი იყო, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ჩემი შუამდგომლობა რჩებოდა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. ეხლა კი ცისტერნების რიცხვმა, რასაკვირველია, უფრო იკლო. აი ყველა ის მიზეზები, რომელიც ამ ხანათ შეუძლებელ ჰყოფს უფრო მეტი ნავთის საქართველოში მოტანას. უფრო ნათლად რომ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი მე ვიტყოდი, რომ ყველა ეს დაბრკოლება ტეხნიკური ხასიათისაა და არა პრინციპიალური. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსა და ადერბეიჯანის შორის არც ამ და არც სხვა რომელიმე კითხვაში პრინციპიალური ხასიათის უთანხმოებას ადგილი საზოგადოთ არ ექნება.

### სურსათის მდგომარეობა ბაქოში.

როდესაც ჩვენ ავიღეთ ბაქო, ერთ უმთავრეს მორიგ საკითხათ სურსათის მოწესრიგების საკითხი იქმნა მიჩნეული. სურსათის საქმის რიგზე დაყენებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, და სწორედ ამიტომ ეხლანდელი ბაქოს ბატონ-პატრონნი არ იზოგვენ ღონეს და არ აკლებენ ცდას, რათა მოქალაქეთ გაუადვილონ ცხოვრება. სასურსათო საქმე ქალაქის თვითმართველობას აქვს ჩაბარებული, ქალაქის თავის ილიუშკინის ხელმძღვანელობით. პურისა და აგრეთვე ზოგიერთ სხვა სანოვაგის ფასმა უკვე დაიწია.

### ოსმალოს ჯარი დერბენტში.

ოსმალოს ჯარის მიერ დერბენტის აღება სიმართლეა, მხოლოდ თუ რა განზრახვა აქვს ოსმალეთს ჩრდილოეთისაკენ წინსვლის შესახებ ესე იგი გაიწევს ოსმალეთის ჯარი დერბენტიდან ჩრდილოეთისაკენ, თუ არა, მე არ შემიძლიან არაფრის თქმა. არც მაქვს არავითარი ცნობა ამის შესახებ.

### ბაქოს წარსული და დღევანდელი ვითარება.

ბაქოს აღების შესახებ, სამწუხაროდ მეტად ტენდენციური და ყალბი ცნობები იბეჭდება, ტფილისის ზოგიერთ გაზეთებში. ვიტყვი კიდევ მეტს, როგორც ეს ჩემ საპასუხო ნოტაში იყო აღნიშნული, რომ ამგვარი ცნობებით დიდათ ბრკოლდება ის კეთილ-მეზობლური დამოკიდებულების დამყარების საქმე ამიერ-კავკასიის და კერძოთ მუსულმანთა და სომხებთა შორის, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის და ყველასათვის.

სამწუხაროთ არის გაზეთები, ჭორებით და ზიზღით აღსავსე ჩვენსადმი. ამ სიტყვების დასამტკიცებლათ ავიღოთ თუ გინდ შემდეგი მაგალითი: ბაქოს აღების შესახებ ვინ იცის რაებს არ სწერდენ და დრო-გამოშვებითაც სწერენ დღესაც! ვითომც განგებ წინდაწინ ქურთების რაზმები შეუშვათ ბაქოში და მათთვის სამი დღის ვადა მიეცათ, რათა მათ ამ დროის განმავლობაში მოესწროთ ცარცვა-გლეჯა და სომხების ამოჟლეტა.

სრულიად ოფიციალურად, როგორც დიპლომატიური წარმომადგენელი ადერბეიჯანის რესპუბლიკისა საქართველოს მთავრობის წინაშე, ვაცხადებ, რომ ყველა ეს სიცრუეა.

მე განზრახ წაველი ბაქოში ამ ორი კვირის წინათ, რომ პირადათ მენახა ბაქო და ადგილობრივ შემემოწმებია ხმები ქალაქის განადგურების შესახებ.

კრასნო-კრესტოვის ქუჩა, სადაც ჩემი ოჯახი სცხოვრობს, ტფილისში გავრცელებული ხმების თანახმად, სრულიად აოხრებული უნდა მენახა, მაგრამ მე ამ ქუჩაზე არავითარი ცვლილება არ შემიმჩნევია. ბევრი ბაქოდან გამოქცეული პირი კერძო ლაპარაკის დროს, თუ აგრეთვე პრესაში და ლექციებში ავრცელებენ ათასობით გადამეტებულ ხმებს სომეხთა დახოცილ რიცხვის შესახებ. ეს მეტად გაზვიადებული რიცხვი მათთვის საჭიროა იმისთვის, რომ ჩაუნერგონ საზოგადოებას რწმენა, ვითომც მართლა განზრახ შეუშვეს პირველად ქალაქში თურქები, რათა ამ უკანასკნელთ ამოეხოცათ რაც შეიძლება მეტი რიცხვი სომხებისა.

ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვანაირი იყო:

თვით ქალაქში, სანამ ის სრულიად გადვიდოდა ოსმალოს და ადერბეიჯანის ჯარის ხელში, დიდი ბრძოლა სწარმოებდა. მუსა-ნაგიევის სახლში, რომელიც ზღვის ნაპირა ქუჩაზეა (набережная) ბაქოს დამცველებმა ტყვიისმფრქვეველი მანქანები დასდგეს და ისე უწევდნენ წინააღმდეგობას ოსმალოს ჯარს. ასეთ მაგალითებს ჰქონდა ადგილი სხვა და სხვა ქუჩებზედაც. ამიტომ, რა საკვირველია, რომ ბევრი დაიჭრა და დაიხოცა კიდევაც ორივე მხრით, მხოლოდ ის რიცხვი, რომელსაც აღნიშნავენ აქ ზოგიერები, მეტად გაბერილ-გაზვიადებულია.

### ადერბეიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარების საკითხი.

ამ კითხვის შესახებ უკანასკნელ დროს მე არავითარი ოფიციალური ცნობები არა მაქვს, მხოლოდ ვიცი, რომ სადაც საჭიროა, ღებულობენ ზომებს, რათა მალე იქნეს გადაწყვეტილი ეს საკითხი. მე სრულიად არავითარი ეჭვი არა მაქვს ამ მხრით ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის საქმის კეთილად დაგვირგვინებაში. ჩვენი განზრახვანი დემოკრატიული ხასიათისაა, ჩვენ არ გვინდა სხვა ეროვნების დაჩაგვრა და ვილსონის ნოტის 14 მუხლიდან არც ერთს არ ვეწინააღმდეგებით. ამიტომ ამ მხრით ჩვენ დამშვიდებული ვართ, მაგრამ, თუ კი მიუხედავად ყველა ამისა, მაინც ვინმე იქნება მტერი ჩვენი დამოუკიდებელი, თავისუფალ ცხოვრებისა, მაშინ ჩვენ ვეცდებით იარაღით ხელში დავიცვათ ადერბეიჯანის სუვერენობა, მისი თავისუფლება და ეროვნული კეთილდღეობა.

დ.

# ქართული პრესა

ქართული პრესა ყურადღებით ეკიდება სომხეთსა და საქართველოს შორის შექმნილ მდგომარეობას, ბორჩალოს მაზრაში მომხდარ ინციდენტს. ყველა გაზეთი, როგორც გუშინაც აღვნიშნეთ, მზათაა სადაო საკითხი მშვიდობიანი და არა იარაღის გზით გადაიჭრას, მაგრამ მშვიდობიანობის გზით თუ სომხეთმა არ მოისურვა სადავო საკითხების გადაჭრა და იარაღით განაგრძო სვლა,—ქართული პრესის აზრით,—საქართველოც იძულებული გახდება იარაღითვე უპასუხოს. გაზ. „სახალხო საქმე“ სწერს:

„ჩვენ ვფიქრობდით და ეხლაცა ვფიქრობთ, რომ სომხეთი ოსმალეთის მიერ გადმოგდებულ ანკესზე არ წამოეგებოდა და შეთანხმებისა და სოლიდარობის ნაცვლად ავანტიურისტულ გზას არ დაადგებოდა. მაგრამ მოვსტყუვდით. მან მოისურვა იარაღით ლაპარაკი საქართველოსთან, ხოლო დიპლომატიურად—ოსმალეთთან. ოსმალეთს შეუძლიან დღეს არამც თუ დროებით დაპყრობილი ადგილები, ნახევარი საქართველოც კი საჩუქრად მიართვას სომხეთს. ეს არ დაუშლის მას, თუ სიტუაცია შეიცვალა, კვლავ აგრესიული კილოთი დაელაპარაკოს სომხეთს და გაჩუქებული ადგილები კვლავ უსომხებოდ დასტოვონ ისევე, როგორც დედა—სომხეთი. ეს გარემოება ალბად დაავიწყდა სომხეთს, როდესაც თავის ჯარებს ჰგზავნიდა საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოს აქვს იმდენი ძალა, რომ სომხეთის ავანტიურას, თუ იგი განვითარდა, საზღვარი დაუდოს, მაგრამ ჩვენ მაინც სასურველად და საჭიროდ მიგვაჩნია სომხეთმა ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღოს პოლიტიკურ ჩხირ-კედელაობაზე და შეურიგდეს იმ აზრს, რომ რაც საქართველოს ეკუთვნის, იმას იგი არავის დაუთმობს უბრძოლველად.

***

გაზეთი „საქართველოც“ ეხება ამავე საკითხს და ამბობს:

„ჩვენ ჯერ კიდევ ვფიქრობთ, რომ საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე მომხდარი ამბები არის სეპარატიული მოქმედება უპასუხისმგებლო ავანტიურისტებისა, რომელთაც ესოდენ ხნის განმავლობაში ქარაფშუტული გამოსვლებით აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს თავის ხალხს! გასაოცარი იქნებოდა, მეტი რომ არა ვსთქვათ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ვერავგულათ ხელი ასწიონ მათ, ვისაც ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მათი წარმომადგენლებისავე სიტყვით, „ბედნიერ ოაზისად“ მოევლინა იმ დროს, როდესაც მოისხანე და დაუნდობელი მტრის ცეცხლი ავერანებდა გაძვალტყავებულ ქვეყანას.

საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე მომხდარი უგვანო საქციელი ჩვენ გვინდა მივაწეროთ სწორედ იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომლის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი „ნიჭი“ უბრალო შეთქმულებებსა და ღალატს არ გასცილებია აროდეს.

ხოლო თუ ეს მოვლენა შეიცავს უფრო „ღრმა“ აზრს და ააშკარავებს მთელი ხალხის ცბიერ ლაუფარავ განზრახვას, მაშინ საქართველოს სახელმწიფო გამონახავს უებარ საშუალებას ერთხელ და სამუდამოთ აღკვეთოს სამხრეთ მეზობლის აზირებული პრეტენზიები და მიაკუთვნოს მას ის საზღვარი, რისი გადმოლახვა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ამ ხალხის სახელმწიფოს მომავლისათვის“.

***

გაზეთი „ერთობა“ ეხება ჩვენ დემოკრატიულ აღმშენებლობითი საკითხს, არკვევს ერობის დიად მნიშვნელობას „შემოქმედებითი“ მუშაობაში მის როლს, ცენტრალურ მთავრობასთან დამოკიდებულებას და დაასკვნის:

„ჰარმონიული ურთიერთობის დამყარება ცენტრისა და თვითმართველობის შორის, სრულ დემოკრატიულ საფუძველზე, შექმნა დემოკრატიული სალი ტრადიციების და პრაქტიკის მათ ურთიერთ დამოკიდებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში — აი მორიგი და უდიდესი საკითხი დღევანდელ აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

ბევრი დაბრკოლება ელობება წინ ამ საკითხის გადაჭრას. მოუმზადებლობა მასსის და შეუთვისებლობა ცენტრალურ მართველობის, მაგრამ ჩვენ გვწამს საქართველოს დემოკრატია ყოველივე დაბრკოლებებს სძლევს და დაწყებულ უმაგალითო ისტორიულ მუშაობას დემოკრატიულ რესპუბლიკის აღმშენებლობისას, უმაგალითო ენერგიით და გენიალობით დააგვირგვინებს“.

* * *

ამავე ერობის საკითხს ეხება ქუთათური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ და სწერს:

„საერობო ორგანოების შექმნას უნდა მოჰყვეს ლიკვიდაცია იმ ორგანოების, რომელნიც რევოლიუციის დაწყებიდან თითქმის დღემდე ადმინისტრაციის როლსაც ასრულებდენ სოფლათ და სასამართლოს როლსაც. ესენი არიან მაზრისა დ სოფლის აღმასრულებელი კომიტეტები. ეს ორგანოები რევოლიუციამ წარმოშვა და სანამ ძველი არ დაინგრა ძირიან-ფესვიანად და ახლის შენებას არ შევუდექით, ისინიც საჭირონი იყვენ. აღმ. კომიტეტებმა, როგორც სხვა რევოლიუციონურმა ორგანოებმა თავის დროზე ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ახლა კი მათი როლი, რაც დღე გადის, მით უფრო მცირდება და მათი მოვალეობაც იზღუდება; ერობის შემოღების შემდეგ ხომ ისინი სრულებით ზედმეტ ორგანოებათ გადაიქცენ. ამიტომ დაჩქარებით უნდა მოხდეს მათი ლიკვიდაცია და მათ თავის ადგილი ერობას უნდა დაუთმონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ და იმავე დანიშნულებისათვის ორი ორგანოს არსებობა უაზრობაც იქნებოდა და საქმესაც ავნებდა. დღეიდან სოფლის ერთად-ერთი ბატონ-პატრონი ერობაა და ამიტომაც უკანასკნელს მით უფრო დიდი სიფრთხილე და ენერგიის გამოჩენა მართებს“.

## სომხური პრესა

დაშნაკელების ორგანოები „ორიზონი“ და „აშხატავორი“ ეხება სომხეთისა და საქართველოს საზღვრების გადამიჯვნის საკითხს.

„ორიზონი“ სწერს: „ამ დღეებში სანაინში მომხდარ ამბების გამო ბევრნაირი ხმები გავრცელდა. სამწუხაროდ ჩვენი ოფიციალური წრეები არაფერს გვატყობინებენ ამის შესახებ. რომ მოღრუბლული ცა გაწმენდილიყო, საზოგადოებას დაწვრილებით უნდა გაეგო საქმის ნამდვილი ვითარება.

რაშია საქმე?—კითხულობს გაზეთი და თვითონვე ასე უპასუხებს: „ოსმალეთის მთავრობამ ამა წლის ივლისში სომხეთის დიპლომატიის წყალობით, დაადგინა ჯარების გაყვანა ლორიდან და ბამბაკიდან, რომლებიც დაიჭირა ოსმალეთის ჯარმა წინააღმდეგ ბათომის ხელშეკრულობისა. ძლივს ორი თვის შემდეგ ოსმალეთმა შეასრულა თავისი დადგენილება და ამ რაოდენიმე დღის წინად გაიყვანა თავისი ჯარები ზემოხსენებული ადგილებიდან; ოსმალეთისაგან გაათავისუფლებული ალაგები დაიჭირა სომხის ჯარმა, როგორც სომხეთის ბუნებრივი ნაწილები. საქართველოს მთავრობამ პროტესტი გაუგზავნა სომხეთის მთავრობას ამ ნაბიჯის გამო, რადგანაც იგი სთვლის ლორის რაიონს, რომელიც ოსმალეთის ხელში იყო, საქართველოს ტერიტორიის ნაწილათ. თუ რა უპასუხა სომხეთის მთავრობამ ჩვენ არა ვიცით რა, მაგრამ თუ ჩვენი მიღებული ცნობები ნამდვილია, შეიძლება ეხლაც ვთქვათ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს ამბავი.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ტფილისის გუბ. რამდენიმე ნაწილები, მაგალითად ლორი, ახალქალაქი დ ახალციხის ახლო ძახლო 10—12 სოფელი, რომლებიც სომეხებითაა დასახლებული ძველი რუსეთის ჟინიანობით ან უსამართლო პოლიტიკური ანგარიშით შეტანილი იყვნენ ტფილისის გუბერნიის საზღვრებში. გადამიჯვნის საკითხი გასარჩევად ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტსაც კი ჰქონდა გადასაწყვეტად. ეს სუყველაფერი კარგად იციან ეხლანდელმა ხელმძღვანელმა წრეებმა, რომლებსაც სოციალ-დემოკრატების პირით, მუდამ დაუცავთ ჩვენი მოთხოვნილება და რომელიც ერების თვით-გამორკვევის მართალ და ელემენტარულ პრინციპზე იყო დამყარებული.

რა მოხდა, რამ ააშფოთათ, როცა ლორელი სომხები უერთდებიან თავიანთ დედა სამშობლოს? ამ რაოდენიმე თვის წინად არ იყო ჟორდანიამ, წერეთელმა და რამიშვილმა რომ გამოუცხადეს სომეხთა ეროვნულ საბჭოს, რომ ისინი არ უარყოფენ სომხების უფლებას ტფილისის გუბერნიის ზემოხსენებულ ნაწილებზე და რომ ოსმალების შემოსევის შიშით მხოლოდ დროებით დაიკავეს ბორჩალოს ერთი ნაწილი?“

გაზეთი ასე ათავებს თავის წერილს:

„ჩვენ ველით, რომ ქართველ დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლები ამოიღებენ თავიანთ გავლენიან ხმას, რათა ფეხქვეშ არ გაითელოს დღევანდელ უთანხმოებაში საზღვრების მომავალ გამიჯვნის დროს სიმართლის და დემოკრატიზმის წმინდა მოთხოვნილებანი“.

—

ამავე საგანზე „აშხატავორიც“ სწერს: „ვუფრთხილდეთ ეშმაკს“. ამ მძიმე ხანებში, როცა მხოლოდ საერთაშორისო სოლიდარობას და საერთო დემოკრატიულ ფრონტს შეუძლიან იხსნას ჩვენი უბედური ხალხი, არა თუ მარტო ჯაფაროვები აწარმოებენ თავიანთ ეშმაკურ შრომას, არამედ გაზეთ „ბორბა“-ს პუბლიცისტებიც უწინდებურად ცდილობენ ყოველ მხრივ გაუტეხონ სომხეთის დაშნაკელების მთავრობას სახელი.

გაზ. „ბორბა“ ჰხედავს სომხის ერის ხსნას „დაშნაკელების“ გაცალკევებაში. გაზ. „ბორბა“ ბრალს სდებს დაშნაკელების მთავრობას ავანტიურისტობაში, აგრესიულ და ნაციონალისტურ პოლიტიკის წარმოებაში. ჩვენ არ ველოდით, რომ მენშევიკების ორგანო გამოიჩენდა ასეთ პოლიტიკურ სიბეცეს და ეროვნულ ცალმხრივობას ასეთი უბრალო კონფლიქტის გამო. ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ ეს კონფლიქტი გათავდება მშვიდობიანობით და შეთანხმებით“.

——

ვსთქვათ, ლორი, ახალქალაქი, ახალციხე, თუ გინდ ქუთაისიც,—ეთნოგრაფიული პრინციპით ეკუთვნით სომხებს, მაგრამ სომხეთის მთავრობამ კარგად იცის, რომ ეს ტერიტორია საქართველოს ეკავა, მაშასადამე ამ ტერიტორიის საკითხის გადაწყვეტისათვის პირველად ყოვლისა უნდა მიემართა საქართველოსათვის, მიელო მისგან პასუხი და შემდეგ გადაედგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც მას მოეპრიანებოდა, მაგრამ სომხეთმა ეს არ ინება და ოსმალეთთან შეთანხმებით პირდაპირ შეიარაღებული ძალით გადმოლახა ჩვენი საზღვრები. როგორ ფიქრობს „ორიზონი“ და „აშხატავორი“, ეს დემოკრატიული ნაბიჯია და ასე უნდა მოქცეულიყო „სოციალისტური“ პარტია—დაშნაკციუტუნი? პოლიტიკური სიბეცე ვინც დაამტკიცა,—ეს მგონი „აშხატავორმა“-ც კარგად იცის და ტყვილა აგდებს სიტყვას ბანზე.

## რუსული პრესა

რუსული პრესაც გარს დასტრიალებს დღევანდელ საჭირბოროტო საკითხს—სომხეთსა და საქართველოს შორის ბორჩალოს მაზრაში მომხდარ ამბავს. გაზეთი „ბორბა“ სამართლიანათ შენშნავს, რომ შექმნილი მდგომარეობა უცხო სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს ამიერ-კავკასიის საქმეებში ჩაერიოს. ახლოა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის საკითხიცა და „ბორბას“ სიტყვით:

„თუ სახელმწიფოთა კონფერენცია დღევანდელ მდგომარეობაში მოგვისწრებს, როცა ჩვენს შორის მტრობა მეტათ გაღვივებულია, ზედმეტია იმაზე ფიქრი, რომ კონფერენციამ ჩვენ ხმას ანგარიში გაუწიოს. ჩვენთვის აუცილებელია ევროპის სახელმწიფოთა წინაშე გამოვიდეთ, როგორც ერები, რომელთაც კულტურულ თანაცხოვრებისათვის უნარი აქვთ. ეს ცხადია. მაგრამ ამას რომ მივახწიოთ, რომ რაიმე შეთანხმება ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის შესაძლებელი იქნეს, საჭიროა საერთო პრინციპი, რომელზეც ყველამ ჩვენ ჩვენი პოლიტიკა უნდა ავაგოთ“.

როგორი უნდა იყოს ეს საერთო პრინციპი? ამისთვის გაზეთის აზრით საჭიროა შეცდომის გადასინჯვა და მისი უარყოფა. რაშია შეცდომა?—აღმოსავლეთურ პოლიტიკაში, რომელსაც დაშნაკელების პარტია აწარმოებს. გაზეთი ამბობს:

„ამ პოლიტიკის არსებითი მხარეა იმაში, რომ იგი პრინციპათ იხდის ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის საკითხის გადასაწყვეტათ, მიმართოს გარეშე ძალას, ის შესაძლებლათ სცნობს, რომ რომელიმე ერმა უცხო სახელმწიფოსთან შეთანხმება მოაწყოს თავის მეზობელთან საბრძოლველათ“.

და ამგვარი პოლიტიკაა—დაშნაკელების პოლიტიკა. ესაა მთავარი შეცდომა და ამ შეცთომას სჩადიან მუსავატელებიც, და ამ შეცდომაშია ბოროტებაც. ყველა ხალხმა ზურგი უნდა აქციოს ამგვარ პოლიტიკას და ამგვარათ გამოინახება ყველასათვის საერთო ენა.

„ყველა საკითხი, რომელიც ამიერ-კავკასიის ხალხებს ეხება, უნდა გადაწყვიტოს თვით ამ ხალხმა ისე, რომ გარეშე ძალა არ ჩაერიოს. თუ ჩვენ შევითვისებთ ამ ელემენტარულ პოლიტიკურ ჭეშმარიტებას, და ჩვენ ყველა გულწრფელათ და პატიოსნათ შევასრულებთ მას, თუ პოლიტიკურ ნაბიჯებს თან არ დაჰყვება საშინელი აჩრდილი მზაკვრობისა და გამცემლობისა, ჩვენთვის, ყველასათვის არამც თუ უბრალო საკითხების, რომელიც ხშირათ შეხეთქებას იწვევს, არამედ სახელმწიფოებრივ პირველ ხარისხოვან საკითხების გადაჭრაც ადვილი იქნება“.

გაზეთი „კავკასკოე სლოვო“ ეხება ბორჩალოს ამბებს, აღნიშნავს საქართველოს მთავრობის მშვიდობიანობის სურვილს და ამბობს, რომ ვერც კი წარმოუდგენია თუ შესაძლებელია შეიარაღებული დატაკებაო. გაზეთი სიფრთხილესაკენ მოუწოდებს ყველას და ბოლოს ასეთი მარგალიტით ათავებს წერილს: „ჯერ კიდევ გაურკვეველ უფლებების ძალით დაცვა ეწინააღმდეგება ყველა იმ მოქმედების ხაზს, რომელსაც გვიკარნახებს გონება, კულტურა“ და სხვა და სხვა. მაგრამ ერთი ვკითხოთ „კავკ. სლოვოს“: „გაურკვეველ უფლებებით“ ძალით დაპყრობა არ ეწინააღმდეგება ამავე ხაზს?

დაშნაკელების პოლიტიკის შესახებ გაზ. „გრუზია“ ამბობს:

მეტათ მძიმე პასუხის მგებლობას ატარებენ სომხის ხალხის წინაშე მისი მებრძოლაგრესიული ხელმძღვანელები, რომლებმაც არა ერთხელ დაატეხს თავს თავიანთ თანამემამულეთ და მონათესავეთ ეროვნულ შუღლით გამოწვეული რისხვა. ამ პოლიტიკურ სარისკო თამაშისათვის პასუხის გება მოუხდება იმ მშვიდობიან მცხოვრებთ, რომლებიც რჩებიან განმარტოებულნი და ვარდებიან საერთო უნდობლობის ატმოსფერაში პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წყალობით“.

ნეტავ, ეს არასოდეს არ დაავიწყდებოდეს თვით „გრუზიასაც“.

## რუსეთის აღდგენის საკითხი

I.

თვითმპყრობელობის მუხრუჭებით შეკოჭილი რუსეთი დაიშალა. დიდი რუსეთი-ერთ უძლიერეს გიგანტს რომ წარმოადგენდა, დღეს აღარ არსებობს. რევოლიუციონური მოძრაობის პროცესში კატასტროფული სისწრაფით მოხდა რუსეთის დარღვევა-დანაწილება. ეს პროცესი ელვისებური სისწრაფით დააჩქარა ბოლშევიზმმა და ეს ქვეყანა, რომელიც სამასი წლის განმავლობაში ძალით იკრიბებოდა, რკინითა და სისხლით იწებებოდა, სათამაშო ხუხულასავით განერთხო.

მოსწყდა მას პირველათ ყოვლისა-ფინლიანდია-ტანჯულ-წამებული თავისუფლებისათვის თვითმპყრობელბასთან ბრძოლაში.

ჩამოშორდა უკრაინა.

ბოლშევიკების გაბატონებისა, საბჭოთა ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ერთბაშათ დაინგრა დიდი რუსეთი და მრავალ რესპუბლიკათ გადაიქცა იგი. ციმბირი, ურალი, დონი, ყირიმი, ბაშკირია, თურქესტანი, არხანგელსკი, ბესარაბია, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები, ამიერკავკასია და მისი რესპუბლიკები და სხვა მრავალი რესპუბლიკა, რომელთა სახელია—ლეგიონი.

ერთი მეორეს მოშორებულ-მოწყვეტილი, სამოქალაქო ომის ქარტეხილში გადაცვივნულნი რესპუბლიკები შეეცადენ თავისი საკუთარი ცხოვრების მოწყობას და მთავრობის შექმნით აღიარეს თავისი თავი ცალკე სახელმწიფოებათ. ბოლშევიკების პოლიტიკა ამას ხელს უწყობდა. საერთაშორისო ომიდან ლეჩაქ-მოხდილათ გამოსული რუსეთი, საგარეო ფრონტზე დამარცხებული და შერცხვენილი რუსეთი,—შინაურ ფრონტებზე უფრო დამარცხდა, დაქუცმაცდა და განადგურდა. ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ ფაქტი შეიქნა და ამ ფაქტმაც ამოსწურა ძველი დიდი რუსეთი.

რუსეთის სახელი შერჩა მხოლოდ ბოლშევიკურ მთავრობას და თუმც ისინი ტიტულათ აღიარებენ „რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიულ“ რესპუბლიკას, მაგრამ მისი ასპარეზი განისაზღვრება მხოლოდ ძველი რუსეთის ცენტრალური გუბერნიებით ანუ ახალი სახელით-სოვდეპიით.

ასეთი დანაწილებულ-დაქუცმაცებული რუსეთი წარუდგა მსოფლიოს და ძლიერნი ამა ქვეყნისა შეეცადენ თავის ინტერესებისათვის გამოეყენებიათ იგი. ამ მხრივ გერმანიამ ყველა დანარჩენ სახელმწიფოს მოასწრო. ხმლის და ტყვიის შემწეობით ძველი რუსეთის დროს მან დაიპყრო პოლონეთი, ლატვია, კურლიანდია. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მან სავსებით დაიმონა რუსეთი და ფაქტიურათ სოვდეპია, სადაც ბოლშევიკები ბატონობდენ გერმანიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში შეიქნა. ტერიტორიალური, ეკონომიური და პოლიტიკური დაპყრობა რუსეთისა გერმანიის მხრივ,—ცხადია არ ეჭაშნიკებოდა გერმანიის მოწინააღმდეგე ბანაკს-ინგლის-საფრანგეთ-იაპონიას. მათ ხელიდან აშკარათ ერთმეოდა გემრიელი ლუკმა—თავისი ეკონომიური ძალებით სუსტი და მაშასადამე, კარგათ დ[?] იოლათ ტყავსაძრობი ბაზარი-რუსეთი.

ამას გარდა, რუსეთის ომიდან გამოსვლა, და გერმანიისათვის აღმოსავლეთის ფრონტის განთავისუფლება დიდ ლახვარს სცემდა შეთანხმების სახელმწიფოთა ბანაკს და ეს უკანასკნელიც შეეცადა გერმანიის პოლიტიკის ორბიტრიდან რუსეთის გამოგლეჯას.

ამგვარათ საგარეო ფრონტზე ორი ბანაკი—ორი კოალიცია, ომიდან რუსეთის გამოსვლის შემდეგ, განაგრძობდა რუსეთის გარშემო ბრძოლას.

საგარეო პოლიტიკაშიც რუსეთი ორ ამ ბანაკს ეჯახებოდა და თავისი ბრესტ-ლიტოვსკით თუ იგი გერმანიის პოლიტიკის ჯადოწრეში მოექცა,—სამაგიეროთ შეთანხმების სახელმწიფო ბანაკს მოსცილდა, და არამც თუ მოსცილდა დაუპირდაპირდა მას.

ერთი მხრით ბოლშევიკური მთავრობის რუსეთი ანუ სოვდეპია, რომელიც რაღაც ძალას მაინც წარმოადგენდა,—მეორე მხრივ გერმანია, რომლის გავლენაშიც ეს რუსეთი მოხვდა და მესამე მხრივ—ინგლის-ამერიკასაფრანგეთი, რომელიც სცდილობს თავის გავლენის განმტკიცებას. საგარეო პოლიტიკაში ასეთი განწყობილება შეიქნა. და თუ გერმანია დაინტერესებული იყო ბოლშევიკების ბატონობის გახანგრძლივებით, ინგლისი ანტიბოლშევიკურ მოძრაობას მხარს უჭერდა და ეხმარებოდა. შიგნით რუსეთში—ამ ხაზის გასწრივ ჩამოყალიბდა მომქმედი ძალებიც. ბოლშევიკებთან მებრძოლი ძალის უმეტესობა, რომელსაც ლოზუნგათ ჰქონდა წამოყენებული, ბოლშევიკების დამხობა, ხელს უწვდიდა ინგლის-საფრანგეთს, იმ დროს, როდესაც ამ ქვეყნების ელჩებს თვით ბოლშევიკები სდევნიდენ. ბოლშევიკების წინააღმდეგ მოსკოვში და სხვაგანაც მომხდარ მემარცხენე ესერების აჯანყებას ინგლისთან პირდაპირი კავშირი, როგორც ამას თვით ბოლშევიკები ამტკიცებენ, შეიძლება არ ჰქონია, ამ გამოსვლებით აუცილებლათ სარგებლობდა ინგლისი და მობილიზაციას უშვრებოდა დანარჩენ ანტიბოლშევიკურ ძალებს, რომ მათი შემწეობით ბოლშევიკური ძალაუფლება გაენადგურებია და ამნაირათ რუსეთში გერმანიის პოლიტიკისათვის ბოლო მოეღო. გარეშე ფრონტებიდან მეომარმა მხარეებმა ბრძოლა რუსეთის შინაურ ფრონტებზე გაახურეს და რუსეთის დემოკრატიის ნაჯიჯგნ გულზე თავისი ჯიბის საკითხების გადაწყვეტა მოინდომეს.

ვ. მოძველი.

## ფინანსიური საკითხები

ეხლახან საქართველოს რესპუბლიკამ ხელშეკრულება დასდო აღერბეიჯანთან ბონების შესახებ.

ამასწინეთ ამგვარივე ხელშეკრულება დადებულ იქმნა სომხეთთან. ამ ხელშეკრულებათა ძალით საქართველოს მთავრობა გამოსცემს 280 მილიონი მანეთის ბონებს ამიერკავკასიის კომისარიატისას და ამ თანხიდან გადასცემს 80 მილიონს სომხეთს და 80 მილიონს აღერბეიჯანს. ამასთანავე ხელშეკრულებათა ძალით წინეთ გამოცემული 300 მილიონის ბონების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობა განაწილებულია სამ კონტრაგენტს შორის. მაგრამ ზოგი პოლიტიკოსი და ეკონომისტები შიშობენ, რომ პასუხისმგებლობა მთელი 580 მილიონი მანეთის ბონებისა დაატყდება საქართველოს.

დ. თოფურიძე („საქართველოს ეკონომისტი“ № 1.) ამაში მთელ ბრალს თავს ახვევს ფინანსთა სამინისტროს, მაგრამ ამ სამინისტროს ხელმძღვანელს შეუძლიან უპასუხოს ბ. საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს: ჩვენ, მთავრობა, მოვდიოდით თქვენთან და რჩევას გეკითხებოდით, მაგრამ თქვენ ერთი ფორმულა არ მოგიციათ სახელმძღვანელოთ გამოსადეგიო. მეცნიერებაში მიღებულია, რომ ფულათ ითვლება მხოლოდ ოქრო და ვერცხლი; ქაღალდი კი სუროგატია ფულისა, და ბონები ხომ კიდევ უარესი, მაგრამ მაშინ, როცა ამიერ-კავკასიის ბონების ბეჭდვა გადაწყდა, ჩვენს მთავრობას მეტი საშუალება არ ჰქონდა, გარდა ბონების გამოცემისა.

ჩვენ მთავრობას შეეძლო გაებედნა და ქაღალდის ვალიუტით თავისი ფულის სისტემა შეექმნა, მაგრამ ამისათვის დრო იყო საჭირო. სხვა რომ არა იყოს რა, მხატვრებმა ფულის სახის შემუშავებისათვის სამი თვე ითხოვეს ვადა. ამაზედ მეტი დრო მოუნდებოდა ახალი ფულის სისტემის შემუშავებას და საემისიო ბანკის დაარსებას, გაჭივრება კი არ იცდიდა.

სხვათა შორის შეეკითხნენ რუსეთის სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო ბანკის ტფილისის კონტორის გამგეს ედუარდ ბერგს.

ბ. ბერგმა საზოგადო თეორეტიული მოსაზრების გადმოლაგების შემდეგ გამოსთქვა ის აზრი, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, როგორც ადჭურვილს ცენტრალ მთავრობისაგან უფლებით რუსეთის პროვინციის გამგეობისათვის უფლება ჰქონდა განსაკუთრებული გაჭირვების დროს გამოეცა ბონები რუსულ მანეთებში. ხოლო საქართველოს რესპუბლიკას ეს იურიდიული უფლება არა ჰქონდა, მისი აზრით, თავისი ბონების გამოცემისათვის.

ეს განცხადება უპასუხოთ დარჩა, მაგრამ ამასთანავე ბ. ბერგმა თანხმობა განაცხადა კომისარიატის ბონების გამოშვებაზე, თუ საქართველოს, ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის შეთანხმება მოხდებოდა ამ ბონების გამოცემის შესახებ. შეთანხმება გაძნელდა და ჩვენი მთავრობა ემზადებოდა საკუთარი ბონების გამოცემას, მაგრამ ბ. ბერგმა და სხვა ტფილელ ბანკირებმა ამ ბონებს წინდაწინ ბოიკოტი გამოუცხადეს. თავს იმართლებდნენ იმით, რომ საქართველოს ბონებზე ლაჟი გაჩნდებაო.

საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ ბ. ბერგმა ბანკირები დაიყოლია და გამოუცხადა ჩვენ მთავრობას, რომ თუნდ შეთანხმება სრულებით არ მოხდეს, ის მაინც გამოუშვებს საქართველოს მიერ გამოცემულ კომისარიატის ბონებს, ოღონდ საქართველომ თავს იდვას პასუხისმგებლობა უკვე გამოშვებული 300 მილიონი მანეთის ბონებისათვის.

რასაკვირველია, შეუთანხმებლად, მარტო საქართველოს მიერ კომისარიატის ბონების გამოცემა ყოვლად შეუწყნარებელი იყო,— ვინ იცის, რას არ იტყოდნენ, რას არ დაგვიწერდენ.

მხოლოდ სრულებით გაუგებარი იყო ბანკების ჯიუტობა საქართველოს ბონების შესახებ.

ბ. ბერგიცა და ბანკირებიც არ უარყოფდენ საქართველოს უფლებას თავის ფულის სისტემის შექმნის შესახებ, მაგრამ ბონების უფლებას კი არ გვაძლევდნენ.

თუ საქართველოს სუვერენობა ექვს გარეშეა, ის აღჭურვილია ყველა იმ უფლებით, რაც ამ სუვერენობიდან გამომდინარეობს. მაშასადამე, მას აქვს უფლება თავისი ფული მოსჭრას, და თუ ეს უფლება აქვს, უეჭველია, უფლება აქვს ბონებიც გამოსცეს.

ცხადია, რომ იურიდიული უფლება სადაო არ ყოფილა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფულის გამოცემისათვის დრო იყო საჭირო, და მოთხოვნილება კი არ იცდიდა, ნამეტნურ დიდი ფული სჭირდებოდა საჩქაროდ ლიკვიდაციის საქმეს. ამიტომ მთავრობა იძულებული იყო ბონებისათვის მიემართა, მაგრამ იქ გაუგებრობა მოხდა.

საქართველოს შეეძლო მიენდო რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორისათვის ბონების ემისია, მაგრამ თვით ამ კონტორას არა ჰქონდა უფლება ეს მინდობილობა ეკისრნა,— კონტორა უნდა შეჰკითხებოდა ცენტრალ ბანკის საბჭოს. კონტორის გამგე ბ. ბერგმა კი თავისი უფლების უქონლობა თავს მოახვია საქართველოს, და ჩვენმა ფინანსისტებმა თავი ჩაღუნეს.

საქართველოს მთავრობას კი შეეძლო ეს ემისია დაევალებია საქართველოს ბანკისათვის, ამისათვის საკმარისი იყო ემისიის უფლება დროებით მიენიჭებიათ ეროვნულ საბჭოს დადგენილებით ამიერ-კავკასიის ბანკისათვის.

სადაოდ რჩებოდა ანგარიშის საკითხი,— რა ერთეული უნდა მიეღო საქართველოს რესპუბლიკას ბონების საანგარიშოდ; შეიძლებოდა თუ არა რუსული მანეთების გამოცემა. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სადაოც არ არის, იმიტომ, რომ ყოველ სახელმწიფოს აქვს უფლება მიიღოს საანგარიშოთ მეტრი და გრამი, ან არშინი და გირვანქა; ასევე შეიძლება მივიღოთ ფრანკი ან მარკა.

ჩვენ უთუოდ რუსული მანეთებით უნდა გვეანგარიშნა, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე ინახება არა ნაკლებ ხუთასი მილიონი მანეთისა რუსეთის ქაღალდის ფული. საქართველოს რესპუბლიკას უფლება აქვს, როგორც სახელმწიფოს ხალხის დაბეგვრისა და ამ ბეგარის აღებისა. მაშასადამე, მთავრობას შეეძლო გამოეცხადებინა, რომ შემოუვა ხალხის გადასახადისაგან რუსეთის მანეთები და თავის ბონებს იმით გამოიყიდის.

აქ შიში იბადებოდა მხოლოდ კურსის შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ბანკირების განცხადება ლაჟის გამო ჩვენი ბონების უარყოფისა.

მაგრამ ეს ბანკირების კადნიერება ჩვენი ფინანსისტების სისუსტეს უნდა მიეწეროს. ბანკირებს არ უნდა ეთქვათ, რომ საქართველოს ბონებზე ლაჟი გაჩნდებაო. მათ არ უნდა გამბედნოდ იმისი თქმა, რომ საქართველოს ბონებს არ მივიღებთო, როცა უპატრონო კომისარიატის ბონებს ლებულობდნენ მანეთს მანეთად.

თუ მაინცა და მაინც გაჩნდებოდა, ლაჟი, ეს ჩვენს სასარგებლოთ უნდა ყოფილიყო არა თუ კომისარიატის ბონებთან შედარებით, თვით რუსეთის ფულთან შედარებითაც, ვინაიდან ამ ქაღალდის ფული უკვე გამოცემულია 18 მილიარდზე არა ნაკლები და პატრონი იმასაც არ უჩანს. მხოლოდ საჭირო იყო ნამდვილი ფინანსიური ფორმულები.

ბ. ბ.

## პატარა შენიშვნები.

11.

ჩვენი დიდი სურვილი იყო და არის ჩვენ მეზობლებ ერებთან მუდამ კეთილი განწყობილება გვქონდეს; განსაკუთრებით კი სომხებთან, რადგანაც ისინი ჩვენი ისტორიული მეზობლები არიან, ვიცნობთ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს და ბევრი საერთოც არის ჩვენ შორის. ურთიერთშორის კავშირი და სოლიდარობა უფრო საჭიროა დღეს, როცა ცალ-ცალკე სახელმწიფოს წარმოვადგენთ. სომხისა და ჩვაგრეთვე ქართველი შოვინისტები ყოველთვის წინაალმდეგი იყვნენ ჩვენ შორის კეთილ განწყობილებისა და სოლიდარობისა, ისინი ყოველთვის იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე ეს ორი მეზობელი ერი ერთმანეთის წინაალმდეგ აემხედრებინათ.

სომხურ შოვინისტურ ნაწილს, თავითვე გულზე დაადგა საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადება; მათ აშკარათ იწყეს აგიტაცია თავის ხალხში ჩვენს სახელმწიფოს წინაალმდეგ; გვწამებდენ რაღაც ღალატს, ვითომ ჩვენის მეთაურების მიერ ყარსის ოსმალეთის ხელში გადაცემას და ვინ იცის რამდენაირ ჭორს არ თხზავდნენ, რომ უფრო მოეწამლათ სომხის დემოკრატია ჩვენს წინაამდეგ. სომეხ ოფიცრებმა ხაჩატუროვებმა ქართველ სოფლებშიაც კი სცადეს თავისი სურვილის განხორციელება: ბოლშევიკურ ნიადაგზე ისინი ჩვენ გლეხობას ამხედრებდენ ჩვენი მთავრობის წინაალმდეგ (გაიხსენეთ დუშეთისა და წილკან—ნატახტარის ამბები). სომხის ხალხი ადვილათ აჰყვა, ჩვენს წინაღმდეგ დაშნაკცაკანების დაბალ ხარისხოვან გულისთქმას. მათ, ჩვენში დარჩენილ რუს ჩინოვნიკობა, ოფცრობასთან ერთათ შავი, ფარული ორგანიზაციის დაარსებაც კი დააპირეს ჩვენ წინაალმდეგ სამოქმედოთ. მაგრამ უკანასკნელათ მომხდარმა ამბებმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა: სომხის ჯარის ნაწილმა გადმოლახა ჩვენი საზღვრები და უტიფრათ სცადა ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრა; რასაკვირველია ძალისთვის ძალა უნდა დაგვეპირდაპირებია,—ჩვენ არვის არ ვეცილებით საზღვრებზე, არასოდეს ჩვენში არ ყოფილა აგრესიული და იმპერიალისტური სურვილები, მაგრამ თუ ვინმემ გაბედა ჩვენი მიწა-წყლის ჩამოჭრა, უსისხლოთ არ დავთმობთ მას. სანაინის ინციდენტის ლიკვიდაცია არ მომხდარა. დაშნაკცაკანების ორპირულმა და მზაკვრულმა პოლიტიკამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა სომხობა; მათი ბატონ-პატრონობა ძალიან ძვირათ დაუჯდათ სომხის დემოკრატიას, და უფრო ძვირადაც დაუჯდებათ თუ დროზე ლაგამი არ დაადვეს ამ პატარა კაცუნა იმპერიალისტებს. თუ საზღვრების შესახებ რამე სადაოა ჩვენში, ეს მშვიდობიანი მოლაპარაკებით უნდა გათავდეს და არა თოფ-ზარბაზნებით.

ჩ.

### ქართ. სამუსიკო საზოგადოება

(კვარტეტ—კონცერტების გამო)

რა არის კვარტეტი? საჭიროა თუ არა მისი განვითარება?

კვარტეტი (ოთხი სიმებიანი მუსიკა) არის ნამდვილი სკოლა მუსიკალურ განვითარებისათვის. აქ მუსიკალური აზრი გაშუქებულია იდეალურად. მოკლებულია ყოველგვარ იაფ, ყალბ ეფექტს, რომელსაც ხშირად შევხდებით ოპერაში ან ორკესტრში. ამ ოთხ-სიმებიან ინსტრუმენტში ჩაქსოვილია თავისუფლება ხმის მოძრაობისა, არ არის განსაზღვრული დიაპაზონით, როგორც მომღერალს სჭირია, უმაღლეს წერტილამდის არის განვითარებული ტეხნიკა ინსტრუმენტებისა.

მსმენელი არ არის გატაცებული ფერად სილამაზით უაზრო მუსიკისა, მოკლებულია არტისტის პიროვნებას, მას არ ართობს გარეგნული თამაშობა და ამნაირად ისმენს მხოლოდ მუსიკას, უფიქრდება მის შინაარსს. ამით აიხსნება, რომ გამოჩენილი ხმელეთის მუსიკოსებმა გამოსთქვეს თავის მუსიკალური აზრი, მისწრაფება ამ ფორმაში. არსად ისე მკაფიოთ მუსიკოსი არ გამოხატავს თავის მუზას და იმ ფართო გაშარებას ვერ მიეცემა, როგორც კვარტეტში. ამ ოთხ ინსტრუმენტს არ აქვს საზღვარი თავის მიხვრა-მოხვრაში, ხმის მსვლელობაში.

კვარტეტების ასრულება ხალხის წინაშე შედარებით ახალი მოვლენაა. წარსულ საუკუნეში კვარტეტი იყო მხოლოდ მდიდარ მაგნატების კუთვნილებად და ხშირად თვითონ იღებდნენ მონაწილეობას. მაგრამ წარსულ საუკუნეს ბოლო წლებში დემოკრატიული პრინციპი შეიჭრა ხელოვნებაშიაც.

მდიდრების კუთვნილება და პრივილეგია გადმოვიდა ხალხის ხელში, რომელიც უფრო სერიოზულად და გულწრფელად ისმენდა ხელოვნების შემოქმედებას.

ფრიად სასიამოვნოა, რომ ჩვენმა სამუსიკო საზოგადოებამ ამ დარგს ყურადღება მიაქცია და გამოაცხადა მთელი ციკლი სხვა და სხვა ერების მუსიკისა. ამით საუკეთესოდ გაგვაცნობს: გერმანულ, რუსულ, ფრანგულ, სკანდინავიის და ქართულ მუსიკას. ასეთი შედარებითი გეგმა და ამნაირი კონცერტების დაწყობილება ტფილისში პირველი მოვლენაა. ასეთ სასარგებლო და გონივრულ პროგრამით იწყებს თავის პირველ ნაბიჯს ჩვენი ახალი სამუსიკო საზოგადოების გამგეობა და იმედი გვაქვს სვეს ბოლომდის გაიტანს.

გურჯანელი.

## დეპეშები.

ომი.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 24 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. ლისის დაბლობში ბრძოლა გრძელდება. დეინზის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დეინზე-ვარეშამის რკინის გზასთან, 52 დივიზიამ გენერალ-ლეიტენანტ ვალდორფის ხელმძღვანელობით მოიგერია მტრის განახლებული იერიშები. ფიხტის ორივე მხარეზე ჩვენ დავიხიეთ და მოვიგერეთ მტერი, რომელსაც კატესტრაატის ოლქში ჩვენზე იერიში მოჰქონდა. მტრის ჯარში მონაწილეობას იღებენ ბელგიელნი. ტურნესა და ვალანსიენს ინგლისელები უშენენ. ტურნესა და შელდის დაბლობებში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. სოლემსა და ლე-კატოს ორივე მხარეზე 30 კილომ. ფრონტზე ინგლისელები ახალი ძალებით იერიშებს აწარმოებენ. ამით ინგლისელები ფიქრობენ დიდი მიზნების მიღწევას პირველი იერიში, რომელიც დილით ადრე მოიტანეს ხარპთან, მათთვის სასარგებლო არ იყო. განახლებულ იერიშების შემდეგ მტერი შემოიჭრა რომერის ორივე მხარეში და სენ-მერტენის და სალეშის ოლქებში და ბოტანიის ნაწილში. ფრონტის შუაგულში შევაჩერეთ მტერი, რომელიც რომერის ორივე მხარეზე ლე-კატო-ბავეს გზა-ტკეცილზე და პუა-ბუზას ხაზზე იერიშით მოდიოდა. ბუზას სამხრეთით შევაჩერეთ მტრის წინსვლა, ლე-კატოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის იერიშები შევაჩერეთ. პომერეილის და კატონის შუა შლეზვიგ-ჰოლშტინის, მეკლენბურგის და ვიურტემბურგის პოლკებმა, მიუხედავად მტრის ძლიერი იერიშებისა, შეინარჩუნეს თავისი პოზიციები. განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა 122 ქვეითი პოლკმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი. ალბერტი კოტილიონის სამხრეთით მტრის წინსვლა შევაჩერეთ. უაზასა და სერს შუა დროგამოშვებით არტილერია მოქმედებდა, რომლის შემდეგ მტერმა სერის ჩრდილოეთით შემოტევა დაიწყო. კონტრ-იერიშით მტერი მოვიგერეთ. მჭიდროდ დასახლებულ მონტორნეს ფრანგები არტილერიიდან უშენენ. მდ. ენის აღმოსავლეთით არტილერიის დახმარებით მტერს იერიშები მოჰქონდა. ბავარელებმა და ვიუტენბურგელებმა ვუზიერის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მაღლობები შეინარჩუნეს. ვუზიერის აღმოსავლეთით განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა პირველმა ქვეითი დივიზიამ გრაფ ეულენბურგის წინამძღოლობით. ოლიზისა და განპრეს შუა მტრის იერიშები მოვიგერიეთ ელზას-ლოტარინგის, ტიურინგის და გესენის პოლკებმა. ბრძოლაში ისევ გამოიჩინა თავი 17 პოლკმა, რომელსაც წინამძღოლობს მაიორი შტობი. ამერიკელებმა მდ. მაასის ორივე მხარეზე შემოტევა გააფართოვეს. ბანტოვილის ტყიდან ჯავშნიანი ავტომობილების დახმარებით ამერიკელები შემოიჭრენ კიუნელის ჩრდილოეთით. მტერი დიდი ზარალით უკუ ვაქციეთ. მაასის აღმოსავლეთით, კონსენვუა-დამვილერის ორივე მხარეზე ძლიერი ბრძოლა საღამომდის გაგრძელდა. ბრანდებურგისა და საქსონიის ბათალიონებმა რამდენიმეჯერ მოიგერიეს ამერიკელების იერიშები.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა უზრუნველჰყო პარნასის ორივე მხარე მტრის დაჭერისაგან.

უცხოეთი.

ცნობები მოსკოვიდან.

მ ო ს კ ო ვ ი. ყველას 24 ოქტ. ც. აღ. კომ.

ც ა რ ი ც ი ნ ი 24 ოქტ. ქალაქს საშიშროება ასცილდა. მოწინააღმდეგეს, რომელიც ქალაქიდან 12 ვერსზე იდგა 40 ვერსით უკან დაახევინეს. ვოლგაზე მოძრაობა განახლდა. ფრონტის სიახლოვე ხელს უშლის ქალაქში სურსათის შემოტანას. მცხოვრებლებს პურის მეოთხედი გირვანქის ეძლევათ.

ვ ო ლ ს კ ი. 24 ოქტ. გვაცნობებენ, რომ არხანგელის გუბ. ცუდი მოსავალის გამო მცხოვრებთ დამშევა მოელის. ინგლისელები და თეთრგვარდიელები, რომ დაამშვიდონ დამშევით აღელვებული ხალხი, მოუწოდებენ მათ ჯარში ჩაეწერონ. პური მხოლოდ ერთი თვის სამყოფია.

პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი. 24 ოქტ. გუშინ სმოლნში დააპატიმრეს ცნობილი პროვოკატორი მალინოვსკი. ქალაქის კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს ტრამვაის გზის 17 შტო სურსათის გადმოსატანათ.

ჰ ა ა გ ა. 22 ოქტ. ნიდერლანდიის საგარეო მინისტრმა გამოაქვეყნა ამერიკის პასუხი ჰოლანდიის პროტესტზე, ჰოლანდიელთა ამერიკის ჯარში გაწვევის გამო. ამერიკის მთავრობამ აცნობა ფრონტს, დააბრუნოს ის ჰოლანდიელნი, რომელთაც ბრძოლა არ სურთ. მაგრამ მათ დაბრუნებას ელობებიან ისეთი მძიმე პირობები, რომ ისინი ფრონტზე რჩებიან.

ჟ ე ნ ე ვ ა. 21 ოქტ. საფრანგეთის სოციალისტებმა მოსთხოვეს კლემანსოს ზავის პირობების განმარტება. ამზადებენ მოწოდებას საზავო მოლაპარაკების დაუყონებლივ დაწყებაზე. საფრანგეთის ბურჟუაზია მოითხოვს გერმანიის სრულ განადგურებას. ინგლისის შეთანხმების სოციალისტები მოითხოვენ იმ პროფესიონალურ კავშირების დახურვას, რომელნიც ბოლშევიზმს იზიარებენ.

ც. აღ. კომ. პრეზიდიუმმა 20 ოქტ. ციხიდან განთავისუფლებულ კარლ ლიბკნეხტს გაუგზავნა მისალმების დეპეშა.

პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი. 23 ოქტ. ბულგარეთის კომუნისტურმა ორგანიზაციამ პეტროგრადიდან შემდეგი მოწოდებით მიჰმართა ბულგარეთის პროლეტარიატს: თქვენ დაიწყეთ ბრძოლა იმიტომ კი არა, რომ ფერდინანდის მაგიერ ტახტზე ბორისი აგეყვანათ. ტყუილია ის იმედი, ვითომ ახალი მეფე მოგცემთ ზავს და თავისუფლებას. ნუ დაუჯერებთ მალინოვს, რომელსაც ინგლისის და საფრანგეთის ხიშტების საშუალებით თქვენი სიკვდილი უნდა, ნუ დაუჯერებთ ცრუ სოციალისტ საკიზოვს, რომელიც მინისტრის პორთფელისთვის ჰყიდის ბულგარეთის პროლეტარიატს. ისინი შეერთდნენ ბულგარეთის ბურჟუაზიის შერყეულ ხელმწიფის ასადგენათ. დადგა დრო, როცა კაპიტალისტებს უნდა გამოსტაცოთ ხელიდან ხელმწიფება და მშრომელ ხალხს გადასცეთ. ნუ შეაჩერებთ ბრძოლას. ბურჟუაზია მეფობს ბულგარეთში. განდევნეთ მეფის მსახურნი, მოიცილეთ ბულგარეთის მემამულეთა უღელი. ჩამოაგდეთ ცრუ დემოკრატები, მოღალატე სოციალისტები. მთელი ძალაუფლება მშრომელ ხალხს და მის საბჭოებს. დაე, თქვენთვის მაგალითი იყვეს რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინაალმდეგ.

გზების დახურვა.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 22 ოქტ. ადესიდან იუწყებიან, რომ რუმინიის მთავრობამ რუმინიის ყველა ნავთსადგურები შავ ზღვაზე და მდ. დუნაიზე დახურა.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

მ ო ს კ ო ვ ი, 22 ოქტ. ხმები, თითქოს ყოფილი მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დაეხვრიტათ ტყუილია. ის კარგათ არის და კიევში იმყოფება.

ინგლისის ოფიციალურ წრეებში.

გადაცემულია ენზელის რადიო სადგურიდან.

პეტროვსკში 22 ოქტ. კავკავ-კასპიის კავშირის მთავარ სარდალს ბიჩერახოვს. ჩვენმა ჯარმა ტიტქენი აიღო და მტერს დაახევია მერვისკენ. გვქირია ტყვიები და, ზარბაზნები. კუნი.

კ ო რ ნ ო ფ ო ნ ი 22 ოქ. ინგლისის რადიო. ინგლისის ოფიციალურ წრეებში შემდეგი აზრი გამოსთქვა: ის ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ გერმანიის სამშვიდობო წინადადების შესახებ გამოააშკარავებს მათ ნამდვილ სახეს. უკვე ყველასათვის ცხადია, რომ გერმანიის წინადადება მხოლოდ ერთგვარი სამხედრო ხერხია, რომელიც გამოიწვია გერმანიის ჯარის კრიტიკულმა მდგომარეობამ და მოკავშირეთა მოსალოდნელმა ჩამოშორებამ. როგორც საზავო ისე სამხედრო საქმეს აწარმოებენ ერთი და იგივე ავტორიტეტები და ამიტომაც ერთგვარი აზრი და მიზანი აქვთ. თუ დამარცხება ბრძოლით ვერ აიცილეს, ის უნდათ აიცილონ კონფერენციითა და კომპრომისების საშუალებით. გადადგეს თუ არა ასეთი ნაბიჯი მათი პოზიცია ყველასთვის ნათელი შექმნა. თუ გერმანიის სამხედრო ძალა იძულებულია ბრძოლის ახალ საშუალებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართოს, ამ შემთხვევაში მას უნდა გაეცეს სამხედრო და არა პოლიტიკური პასუხი. ჩვენდა საბედნიეროთ მოკავშირეთ გვაქვს ახლა საშუალება გავსცეთ ასეთი სამხედრო პასუხი. გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელთ (რა სამოსელშიაც უნდა გვეჩვენონ ისინი) თავისი გავლენა მაინც რჩებათ. ვილსონმა უკვე გადაჭრით უარყო მათთან მოლაპარაკება და შეთანხმება. გერმანიის და შეერთებულ შტატების ნოტის გაცვლა-გამოცვლამ, თუ სასურველი შედეგი არა, დიდი სარგებლობა მაინც მოიტანა. მან გამოააშკარავა ამ პარტიის ნამდვილი სახე და ცხადჰყო რომ ზავის გულწრფელ წინადადებისათვის აუცილებელია ამ პარტიის დამხობა, რაიცა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გერმანიის სამხედრო ძლიერების დამარცხების შემდეგ.

## სამხედრო წესები.

სამხედრო მინისტრმა გამოსცა შემდეგი ბრძანება: ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვარზე შექმნილ მდგომარეობის გამო, სადაც სომხეთის რესპუბლიკის ჯარის ნაწილი ჩვენს საზღვრებში გადმოვიდა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა: ბორჩალოს მაზრაში და საქართველოს რკინის გზის სამხრეთ შტოზე გამოცხადდეს სამხედრო წესები.

ბორჩალოს მაზრაში და საქართველოს რკინის გზათა შტოზე, სადაც საქართველოს რესპუბლიკის ჯარი სდგას, ინიშნება გენერალ-გუბერნატორათ მეორე ქვეითა დივიზიის ბრიგადის გენერალ-მაიორი წულუკიძე.

## ახალი ამბები.

### მთავრობაში.

○ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კონფერენცია მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და უსურვებს მას ენერგიას საქართველოს რესპუბლიკის ასაყვავებლათ და განსამტკიცებლათ მიმართულ მუშაობაში. თავმჯდომარე შალიკიანი.

○ რუსეთის მისიამ სპარსეთში აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამ ჟამად ვიცე-კონსულის თანამდებობას ხოიში ასრულებს მდივანი ამ საკონსულოსი ნადენენკო.

○ სამხედრო მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ მან მოახდინოს განკარგულება, რათა ტფ. საგუბერნიო ბათალიონმა გაანთავისუფლოს ყაზარმები ყოფილ კავკ. პირველ მსროლელთა პოლკისა რკინის გზის ლიანდაგის იქით.

○ შინაგან საქმეთა მინისტრს წარედგინა მოხსენება წინანდლის ეროვნულ მამულების ექიმის ანტენის შავრაზმულ მოღვაწეობის შესახებ. მის ასეთ მოღვაწეობას მუშებთან გაუმწვავებია დამოკიდებულება და საშიშ პირობებში ჩაუყენებია ურთიერთი დამოკიდებულება.

○ გენ. მაზნიაშვილის ბინის გაჩხრეკის დროს, რომელიც მოხდა მისი თხოვნისამებრ არავითარი საგანი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. ყველა აღმოჩენილი ბინაზე სანოვაგე, თუ სხვა ნივთები შეადგენდენ მის საკუთრებას და იმდენს, რაც საჭიროა ოჯახურ საჭიროებისათვის და შეძენილი იყო კანონიერის გზით, რის გამო ყველა ნივთები დაბრუნებულ იქმნა კუთვნილებისამებრ.

○ ქუთაისის გუბერნიის კომისარს შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ჩვენს განკარგულებაში არსებულ ცნობებით სადგურ წიფაში ოსმალთა ჯარისკაცებს მოუხდენიათ ჩხრეკა ფოთიდან მომავალ მატარებელში. მილიციის უფროსის მახარაძის საქმეში ჩარევით ოსმალნი გამორეკეს ვაგონიდან. ანალოგიურ შემთხვევას ჰქონია ადგილი ახლო წარსულში სადგურ ჯუმათში. გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაუწყოთ თუ რამე ცნობები მოგეპოვებათ აღნიშნულ საქმის შესახებ, ამასთანავე გასცეთ უსასტიკესი განკარგულება, რომ მომავალში ასეთ გამოსვლებს არ ექნეს ადგილი“.

### პარლამენტში.

○ საქართველოს პარლამენტის საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ თანახმად პარლამენტის გადაწყვეტილებისა კომისიას გადაეცა განსახილველად საკანონმდებლო წინადადება გრ. ვეშაპელისა „საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა და დაწესებულებათა დასახმარებლად გადაეცეს სახელმწიფო ხაზინის თანხიდან ერთდროულად 100 ათასი მან. შორაპნის სამაზრო საერობო გამგეობას კომისია თანახმად თვისი დადგენილებისა სთხოვს სამინისტროს დაუყონებლივ მოაწოდოს კომისიას საჭირო ცნობები, ვინაიდან თვით კომისიას ამ კანონ-პროექტის განსახილველად და თავის აზრის წარმოსადგენათ ერთი კვირის ვადა აქვს პარლამენტის მიერ მიცემული.

### ქ რ ო ბ ა.

○ მთავრობის თავმჯდომარეს ოზურგეთიდან აცნობებენ, დუაბზუში გაჩენილი გადამდები სენი, ექიმების აზრით, ხოლერაა. ის მოედო სოფლებს: ჰალას, ბოხვაურს, ლიხაურს. მოკვდა 10, ავად არის 8. ერობამ ზომები უკვე მიიღო. ექიმების აზრით ხალხის დამშევა და საერთო მოქანცულობა ხელს უწყობს სენის გავრცელებას. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება, რაც მოითხოვს ფულებს. სამაზრო ერობის გამგეობა სთხოვს რესპუბლიკის მთავრობას გამოუგზავნოს მას 50 ათასი მანეთი სენთან საბრძოლველად და მით იხსნას გურიის ხალხი განსაცდელისაგან.

○ მთავრობის თავმჯდომარემ ქუთაისის პირველ საერობო ყრილობისაგან მისასალმებელი დეპეშა მიიღო, სადაც ყრილობის თავმჯდომარე კალანდარაშვილი აღნიშნავს, რომ ერობა მზად არის ყოველი ღონისძიება მიიღოს რესპუბლიკის განმტკიცებისა და აყვავებისათვისაო.

### ტელეგრაფი.

○ გაიხსნა ტელეგრაფის განყოფილება სოფელ საგარეჯოში (ტფ. მაზრა). მიიღება დეპეშები შინაგანი და ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ იმ რესპუბლიკებში მიმართული, რომლებთანაც აღდგენილია ტელეგრაფის კავშირი, ანუ აღვადგინეთ შემდეგში.

### სასურსათო საქმე.

○ ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობას დაუდგენია პურზე, რომელსაც ადერბეიჯანიდან საქართველოში გამოიტანენ ფუთზე 50 მან. საბაჟო.

○ საქართველოს რესპუბლიკის სასურსათო საბჭოს რწმუნებულთ ყუბანის მთავრობის ნება დართვით მოუმზადებიათ ფოთში გამოსაგზავნათ 60,000 ფუთი ხორბალი, მაგრამ ნოვოროსიისკში მოხალისეებს ეს ხორბალი დაუკავებიათ და მის საქართველოში გამოტანის ნება არ დაურთავთ. ყუბანის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მოხალისეთა ჯარი საზამთროთ იქ არ დარჩება და მაშინ ყუბანიდან ხორბლის მიღების იმედია.

### ყარაბაღი.

○ 10 დღის წინად ოსმალებს სტამბოლიდან ბრძანება მოუვიდა ყარაბაღის დაცლის შესახებ. ეს ბრძანება შედეგია სომხეთის საზავო დელეგაციის შუამდგომლობისა.

### ადერბეიჯანი და სომხეთი

○ ადერბეიჯანის მთავრობამ აცნობა სომხეთის რესპუბლიკის საქართველოში დიპლომატიურ წარმომადგენელს ა. ჯამალიანს, რომ მან არ იცნო სომხეთის მთავრობის მიერ დიპლომატიურ წარმომადგენლად ბაქოში დანიშნული ბ-ნი ბეგზადიანი.

### ბოროტმოქმედება.

○ ოქტომბრის 24-ს დღის 4 საათზე სასახლის ქუჩაზე ტფილისის საოქრომჭედლო მაღაზიაში შევიდა 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი, მაღაზიაში მყოფ ყველას ხელები გაუკრეს და მთელი სახელოსნო გაძარცვეს, წაიღეს მრავალი ძვირფასი ნივთი, რომლის რაოდენობაც გამოურკვეველია.

○ 23 ოქტომბერს კოჯრის ქუჩაზე № 9 გაქურდეს ს. ტატულოვის ქვრივი და წაიღეს სხვა და სხვა ფასიანი ნივთები.

### სხვა და სხვა ამბები.

○ სოხუმიდან პოლკოვნიკ წერეთლისაგან სამხედრო მინისტრმა შემდეგი მისალმების დეპეშა მიიღო: „გენერალ იოსებ გედევანიშვილის და მის სახელოვან პარტიზანულ პოლკის სოხუმში ჩამოსვლის გამო გამართულ პატივსაცემ რაუტზე, რომელსაც დაესწრნენ მინისტრის ამხანაგი მახარაძე, მთავრობის წარმომადგენელი ისიდორე რამიშვილი და საგანგებო კომისარი ჩხიკვიშვილი, ვსვამთ თქვენს სადღეგრძელოს და მოგესალმებით და გამოვსთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს ახალგაზრდა არმია, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, ბრწყინვალეთ ატარებს მაღლა თავისუფლების ალამს და მით ხელს შეუწყობს ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკის აყვავებას“.

## განცხადებები

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 77412, ასი მანეთისა. ვლადიმერ მილავიდოვის სახელზე მიღებული. 937 3—2

ევგენი კობახიძე ამით აცხადებს, რომ მან ჩერქეზიშვილის ქუჩაზე დაჰკარგა საფულე, პიროვნების მოწმობა, ვინტოვკის № 58527 ტარების ნებართვის მოწმობა, პურის ბარათი და ფულათ 235 მ. 80 კ. მპოვნელს სთხოვენ ფული დაიტოვოს და საჭირო ქაღალდები დაუბრუნონ. მისამართი: სამოვოლნის ქუჩა, № 22, კობახიძე. 930 3—2

ათანასი ვ. ხულორდავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული 1906 წ. ტფილისის პოლიცმეისტრისაგან. მპოვნელთ სთხოვენ გაუგზავნონ ნაოლალევის რაიონის კომისარს, ან და სენაკის მაზრის კომისარიატს. 927 3—2

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს სამეურნეო კომიტეტი იწვევს იმ პირთ, რომლებიც იკისრებენ ავადმყოფთათვის ხორცის მოტანას. განცხადებები მიიღება ოქტომბრის ბოლომდე. პირობების გაგება და ცნობების მიღება შეიძლება საავადმყოფოს კანტორაში 10—12 ს. 795 2—2

საქართველოს სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ყოფილ ამიერ-კავკასიის სააქციზო სამმართველოს უმცროს კანტროლიორს, ნიკოლოზ ნიკიტის ძე დოვგალს, როგორც მან განაცხადა, დაუკარგავს პასპორტი, მიცემული სააქციზო სამმართველოსაგან მიმდინარე წლის 12 აპრილს, № 4038. ხსენებულ დოვგალს მიეცემა ახალი პასპორტი, დაკარგული პასპორტი კი ითვლება გაუქმებულად. მპოვნელი ვალდებულია პასპორტი წარმოადგინოს სააქციზო სამმართველოში. 797 3—3

სოფიო გიორგის ასული ვორდიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 2294. მიღებული ტფილისის ყოფილი პოლიცეიმეისტერისაგან. 934 3—2

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე 1918 წ. აგვისტოს 29 დადგენილების თანახმად, სისხ. სამარ. საქ. წარმ. მე-846 მუხ. ძალით ეძებენ ქ. სოხუმის მცხოვრებს, სპარსეთის ქვეშევრდომს ხასან მელიქ-ოღლის, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-169 მუხ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ხასან მელიქ-ოღლი, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს. 419 3-1

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს სამეურნეო კომიტეტი იწვევს იმ პირთ, რომლებიც იკისრებენ მიცვალებულების დასაფლავებას. განცხადებები მიიღება ოქტომბრის ბოლომდე. პირობების გაგება და ცნობების მიღება შეიძლება საავადმყოფოს კანტორაში 10—12 ს. 796 2—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 11 დამტკიცებულია, ამა წლის ოქტომბრის 7 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. ქუთაისში 723 მან. 38 კ. მიჰყიდა იოსებ ზურაბის ძე მილორავას მიწის ნაჭრები № 76 და 77 ქ. ქუთაისში, ზომით 302 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 28 მ. 96 კ. მთავარი ამონაწერი 4 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ოქტომბრის 11. 785 1—1

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე 1918 წ. აგვისტოს 20 დადგენილების თანახმად სისხ. სამ. საქ. წარ. წესდ. 846 მუხ. ძალით ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებს, ადგილობრივ ლაზარეთის ფერშალს სერგი თომას ძე ზასტავლევს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 174 მუხ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ზასტავლევი, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს. 492 1—1

ემელიან დავითის ძე კუკულავა აცხადებს რომ მას მოჰპარეს უვადო პასპორტი, მიცემული ოზურგეთის მაზრის უფროსისგან. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 926 3—3

დაიკარგა ტფილისის ქალ. თვითმართველობიდან მიღებული მოწმობა № 1758 მიხეილ კვაჰანტირაძის სახელზე პატენტის მისაღებად. 933 3—2

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემო აღნიშნულ პირთა უძრავი ქონება, რომელიც საზოგადოებამ საწინდრად მიიღო, საჯაროდ იყიდება,დადგენილ გადასახადთა და დარჩენილ გადასახადთა შემოუტანლობის გამო. ვაჭრობის დღე და დარჩენილ გადასახადთა რაოდენობა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ხიზანაშვილი კ. ს. (მემკვ.) მე-5 უბანი, ნორაშენის ქუჩა, გორელიშვილი შ. შ. მე-5 უბანი და შაპოჩნი შესახვევი. ყაზაროვი ნ. კ. და ავალოვი ლ. გ. მე-7 უბ. „ვინნი პოდიომი“ დონტ ე. ფ. და ი. ი, და კოპწიევი ე. გ. მე-10 უბ. ანდრეევის ქუჩა. ჩიქოვანი ზ. დ. მე-8 უბ. რიყის და დესიმონოვის ქ. შაგუბატოვი ვ. ნ. 1 უბ. პროექტიროვანი ქ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი პ. მ. 1 უბ. პროექტიროვანი ქ. კაფიევი გ. გ. 1 უბ. პროექტიროვანი ქ. სოლომონოვები ა. და შ. გ. მე-5 უბ. „ხლებნაია პლოშჩ.“, დიდი მრუდე და ფეთხაინის ქ. არუთინოვი მ. ა. მე-5 უბ. ფეთხაინის ქ. განჯუმოვი გ. მ. (მემკვ.) 1 უბ. ბელინსკის ქ. ხუბლაროვი მ. ს. მე-10 უბ. ჩერქეზიშვილის ქ. ვარძელოვები ს. ი, მ. ა. ნ. ბ ბ ტერ-სტეფანოვები ს. და ნ. და სხვა მემკვ. კ. ს. ვარძელოვისა მე-3 უბ. ბებუთოვის ქუჩის და მცირე შესახვევის კუთხე. კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამოსწავლო უწყება მე-10 უბ. ნიკოლოზის ქ. სოლომონოვი ა. გ. მე-8 უბანი. პანასევიჩის ქ. იაია მუსიევი მე-2 უბ. პეტრე დიდის და მთაწმიდის ქ. ბერიაშვილი ე. ი. და დ. მ. მე-2 უბ. მთაწმიდის ქ. კაპანაკოვები ა. ვ. და ნ. ე. მე-3 უბ. ბებუთოვის და ამაღლების ქ. მელიქ-ნუბაროვები ტ. გ. და ტ. ტ. მე-10 უბ. დიდი მთავრის და კირკის ქ. ივანოვისა ა. პ. მე-10 უბ. შერემეტევის ქ. სპარსეთის პრინცესა გეოგარ-მირზა მე-5 უბ. სოლომონის ქ. ანანიევა ე. პ. ზუბალაშვილი ნ. პ. და აკიმოვი მ. ა. მე-5 უბ. ოქოევის ქ. თამამშევისა ა. ს. მალხაზოვა კ. ა. მე-6 უბანი. კრწანისის გზა პაპაშვილი დ. ს. მე-6 უბ. მირზოევის და სეიდაბატის ქ. ბაისოგოლოვი ვ. ს. სოლოლაკის და ფრეილინის ქ. კუთხე. ენიკოლოფოვისა ბ. ზ. (მემკვ.) 1 უბ. არტილერიის ქ. ონანოვისა ე. ი. მე-10 უბ. გოგოლის და ფეიერვერკის ქ. ყაზაროვი კ. ი. მე-9 უბ. რეუტოვის და ნიკოლოზის ქ. კუთხე. ტერ-გაზაროვი ს. ა. მე-3 უბ. პეტრე დიდის ქ. შაუმოვები ე. კ. შ. ნ. ო. მ. და ა. ა. მე-10 უბ. ჩერქეზიშვილის და მილიუტინის ქ. კუთხე. სიმონოვი ს. ს. და ესაიანცი ა. ო. მე-4 უბ. მუხრანის და ანჩისხატის ქ. ლგოტაკი ნ. ი. 1 უბ. ანასტასიას ქ. ძეგველოვები ი. და ა. მ. 1 უბ. ოლღას, ყორღანოვის და ვერის დაღმართი. კარბელაშვილისა მ. ო. მე-9 უბ. კირკის და ნიკოლოზის ქ. ნესმაშნი ი. ს. მე-5 უბ. ვორონცოვის ქ. ხეთისიაშვილი ვ. ა. და ხელაშვილი ლ. ა. მე-9 უბ. ალექსანდრეს ქ. კარჯიკიანცი გ. კ. მე-5 უბ. ბეთლემის ტუპიკი. გაბაშვილი ნ. ი. 1 უბ. მატინოვის ქ. ნაზაროვი ნ. ი. 12 უბ. ფოთის ქ. პრედეინი ს. ა. მე-8 უბ. 19 თებერვლის ქ. აბულაძე ი. ი. 1 უბ. ბელინსკის ქ. მჭედლოვები ი. ი. და ა. დ. მე-4 უბ. აბას-აბადის შესახვევი.

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ პეტრე ივანეს ძე პეტსტის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პეტსტის ქონებაზე. 792 1—1

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქვემოდ აღნიშნული მოუკითხავი ხელსატარებელი ბარგი გაიყიდება ტფილისის ცენტრალ საწყობში 5 ნოემბერს 1918 წ. დილის ათ საათზე. გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდათ 6 ნოემბერს 1918 წ. მოუკითხავი ხელსატარებელი ბარგი: №№ ტვირთის ბარათებისა. № 216 ა—13 გ., 289 ა—24 გ., 279 ა—30 გ., 280 ა—35 გ., 286 ა—28 გ., 283 ა—1 ფ. 3 გ., 281 ა—27 გ., 287 ა—15 გ., 270 ა—23 გ., 293 ა—8 გ., 285 ა—4 გ., 292 ა—15 გ., 290 ა—5 გ., 214 ა—14 გ., 211 ა—24 გ., 241 ა—12 გ., 215 ა—14 გ., 217 ა—13 გ., 262 ა—14 გ., 223 ა—4 გ., 274 ა—3 გ., 246 ა—9 გ., 268 ა—20 გ., 257 ა—25 გ., 233 ა—8 გ., 229 ა—9 გ., 227 ა—1 ფ. 11 გ., 239 ა—2 გ., 222 ა—15 გ., 264 ა—3 ფ. 32 გ., 254 ა—39 გ., 242 ა—22 გ., 261 ა—34 გ., 218 ა—20 გ., 267 ა—37 გ., 243 ა—22 გ., 277 ა—8 გ., 237 ა—15 გ., 288 ა—18 გ., 219 ა—10 გ., 220 ა—26 გ., 234 ა—16 გ., 269 ა—34 გ., 284 ა—35 გ., 253 ა—34 გ., 263 ა—2 ფ. 9 გ., 245 ა—22 გ., 266 ა—18 გ., 259 ა—4 ფ., 39 გ., 235 ა—28 გ., 230 ა—32 გ., 238 ა—36 გ., 271 ა—2 ფ., 33 გ., 278 ა—2 ფ. 20 გ., 212 ა—22 გ., 213 ა—1 ფ. 5 გ., 258 ა—1 ფ. 11 გ., 228 ა—9 გ., 240 ა—34 გ., 272 ა—3 გ., 273 ა—3 გ., 291 ა—17 გ., 232 ა—12 გ. (729 3-3)

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.